პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 25 ივნისი, 1944 წ. №128 (7072). ფასი 20 კაპ.

...საბჭოთა ხალხმა ჩაფუშა მტრის ყველა ვარაუდი, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა. ხალხთა ურღვევ ძმურ თანამეგობრობაზე დაფუძნებული საბჭოთა სახელმწიფო ომის მსვლელობაში გამაგრდა და განმტკიცდა. ხალხთა ჩაგვრაზე დაფუძნებულმა ფაშისტურმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო ომის გამოცდებს და გარდუვალი კატასტროფის წინაშე დგას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მერეცკოვს

კარელიის ფრონტის ჯარები ფლანგიდან ლადოგის სამხედრო ფლოტილიის გემების დახმარებით შეტევაზე გადავიდნენ ლოდეინოე პოლეს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, გადალახეს მდინარე სვირი მთელ ფრონტზე ონეგის ტბიდან ლადოგის ტბამდე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 20-დან 30-მდე კილომეტრით და დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოდპოროჟიე, სვირსტროი, ვოზნესენიე, მიხაილოვსკაია, მეგროზერო, კეჩნაია სელგა, ბერეშნაია, მიკენტიევა.

მდინარე სვირის გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ კრუტიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ მირონოვის, გენერალ-მაიორ ბნედინის, გენერალ-მაიორ მიკულსკის, გენერალ-მაიორ ალექსეევის, გენერალ-მაიორ ლეშჩინინის, გენერალ-მაიორ აბსალიამოვის, გენერალ-მაიორ სოკენკოს, კონტრ-ადმირალ ჩირკოვის, პოლკოვნიკ მოსკალიოვის, პოლკოვნიკ ვინდუშევის, პოლკოვნიკ ბლაშევიჩის, პოლკოვნიკ კალინოვსკის, პოლკოვნიკ ზაპირჩის, 1-ლი რანგის ინჟინერ-კაპიტან გუდიმოვის, პოდპოლკოვნიკ ბლაკის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დეგტიარიოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბრეშნევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პავლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ვოეიკოდინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შნეიდერის, პოდპოლკოვნიკ ტერენტიევის, მაიორ ტორჩილინის, მაიორ ემელიანოვის, მაიორ კრუტოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სოკოლოვის, პოლკოვნიკ მინაევის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ უდონინის, პოლკოვნიკ ლარიუშკინის მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ხრენოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ილინის, პოდპოლკოვნიკ არშბას მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „სვირის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 ივნისს, 20 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაიალახეს მდინარე სვირი და გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მდინარე სვირის გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ-ფინელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

1944 წლის 24 ივნისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ბაგრამიანს

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მახვილებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელების ვიტებსკის გამაგრებული რაიონის ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით, ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 35 კილომეტრ სიგრძის უბანზე, სიღრმით 20-დან 40 კილომეტრამდე, გააფართოეს გარღვევა 80 კილომეტრამდე ფრონტით და მიადგნენ მდინარე ზაპადნაია დვინას 35 კილომეტრ უბანზე.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჩისტიაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბელოგოროდოვის, გენერალ-ლეიტენანტ ვასილიევის, გენერალ-მაიორ რუჩკინის, გენერალ-ლეიტენანტ ერმაკოვის, გენერალ-მაიორ ფედიუნკინის, გენერალ-მაიორ ლიუხტიკოვის, გენერალ-მაიორ ხვოსტოვის, გენერალ-მაიორ ვლასოვის, გენერალ-მაიორ ჩერნიკოვის, გენერალ-მაიორ ბაქსოვის, გენერალ - მაიორ სიბაკოვის, გენერალ - მაიორ კუჩერავენკოს, პოლკოვნიკ შკურინის, პოლკოვნიკ ბნედინის, პოლკოვნიკ ლუცკევიჩის, პოლკოვნიკ ჩერნოუსის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ხლებნიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბაშანოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ მაკაროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ შჩეგლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ სამბორსკის, პოლკოვნიკ სტეპანენკოს, პოლკოვნიკ მირონოვის, პოლკოვნიკ მელნიკოვის, პოდპოლკოვნიკ მიხაილოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სკორნიაკოვის, პოლკოვნიკ პოდკოვსკის, პოლკოვნიკ სადოვსკის, პოლკოვნიკ კალინინის, პოლკოვნიკ ვოლკოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პაპივინის, პოლკოვნიკ ტიხომიროვის, პოლკოვნიკ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ კურბატოვის, მაიორ მარტიანოვის მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოსარევის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლმაკოვის, პოლკოვნიკ კუჩურუკის, პოლკოვნიკ სტეჩიშინის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ვიტებსკის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 ივნისს, 22 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

1944 წლის 24 ივნისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ ჩერნიახოვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ვიტებსკის გამაგრებული რაიონის ძლიერ გამაგრებული და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ქალაქ ვიტებსკის სამხრეთით, 30 კილომეტრ სიგრძის უბანზე, ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს სიღრმით 25 კილომეტრამდე და გააფართოეს გარღვევა 80 კილომეტრამდე ფრონტით, ამასთან გაათავისუფლეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ამავე დროს ორშის მიმართულებით ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მდინარე დნეპრის ჩრდილოეთით 20 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე და წინ წაიწიეს 15 კილომეტრამდე.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ კრილოვის, გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ გალიცკის, გენერალ-ლეიტენანტ გლაგოლევის, გენერალ-მაიორ პეტროკრიოსტოვის, გენერალ-მაიორ ბეზუგლის, გენერალ-მაიორ კაზარცევის, გენერალ-მაიორ პოპლავსკის, გენერალ-მაიორ ვოროგბოვის, პოლკოვნიკ კლეცის, გენერალ-ლეიტენანტ კოშევოის, გენერალ-მაიორ პროვალოვის, გენერალ-მაიორ კვაშნინის, გენერალ-მაიორ ალექსეევკოს, გენერალ-მაიორ კალინინის, გენერალ-მაიორ გლადიშევის, გენერალ-მაიორ ლასკინის, პოლკოვნიკ ბიბიკოვის, პოლკოვნიკ კოშანოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბარსუკოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნილოვსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ დერეშის, არტილერიის გენერალ-მაიორ ფედოროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ როშანოვიჩის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოშუსოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ სიმონინის, პოლკოვნიკ კოვალენკოს, პოლკოვნიკ ლუკიანოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ როდინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მალახოვის, პოლკოვნიკ სემენიუკის, პოლკოვნიკ კოვალიოვის, პოლკოვნიკ დუხოვნის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უშაკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ გორლაჩენკოს, პოლკოვნიკ პრუტკოვის, პოლკოვნიკ ზიმინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბნედოვსკის, პოლკოვნიკ ლუკაშევიჩს, პოლკოვნიკ სოლდატენკოვის, პოლკოვნიკ ნოვიკოვის მესანგრეებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ბურმოვის, პოლკოვნიკ პრიხოდაის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ვიტებსკის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 ივნისს, 24 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

1944 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება
რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გადადების შესახებ

გადაიდოს 1945 წლის ივნისამდე რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას რსფს რესპუბლიკის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება.

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
პ. გახმუროვი

მოსკოვი, 1944 წლის 24 ივნისი.

ვ. პ. მჭავანაძეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატ საბჭოს დადგენილებით ვასილ პავლეს-ძე მჭავანაძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ამავე დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციათა შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გენერალ-ლეიტენანტი **ვასილ პავლეს-ძე მჭავანაძე** დაჯილდოებულია **კუტუზოვის 1-ლი ხარისხის** ორდენით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 ივნისის ოპერაციული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარებმა ონეგის ტბის ჩრდილოეთით გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და სავსებით დაიკავეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დიდი რაიონულ-ცენტრი ქალაქი **მედვეჟიეგორსკი.**

იმავე ფრონტის ჯარებმა განავითარეს შეტევა **ლოდეინოე პოლეს** ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, გადალახეს მდინარე **სვირი** მთელ მანძილზე **ონეგის** ტბიდან **ლადოგის** ტბამდე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 20-დან 30 კილომეტრამდე და დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **მიხაილოვსკოე, მეგროზერო, კეჩნაია სელგა, ბერეშნაია, მიკენტიევა.**

ქალაქ **ვიტებსკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლების ორი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 20-დან 40 კილომეტრამდე და გააფართოვეს გარღვევა 80 კილომეტრამდე ფრონტით. 24 ივნისის განმავლობაში ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ხოდოროვკა, დოლბაია ნივა, პრიზოვნა, მიასოედოვო, ზალესიე, ზაბოლოვკა, მიშკოვიჩი, ბარანოვსკაე, ვიშნიოვკა, კუტენო, ანდრეოსოვიჩი, დუბროვსკოე, უშეტიტინა** და რკინიგზის სადგური **ლოვშა.** ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე **ზაპადნაია დვინას** 35 კილომეტრ ფრონტზე.

ქალაქ **ვიტებსკის** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, ბრძოლების ორი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 25 კილომეტრამდე და გააფართოეს გარღვევა 85 კილომეტრამდე ფრონტით. 24 ივნისის განმავლობაში ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **როგი, ზაოზერიე** (8 კილომეტრზე **ვიტებსკის** სამხრეთ-დასავლეთით), **ხამიშევო, კლიჩი, ზამოშჩინე, ზადოროშიე, ვერხნიე** და **ნიჟნიე ალექსანდროვო, ფილეკი, სკოგი, ვერხნაია** და **ნიჟნაია გრიადა, ლუჩესა, გოლუბაია შჩიტოვკა, რიჟიკი** და **რკინიგზის** სადგურები **სოსნოვკა, ლუჩკოვსკოე.**

ორშის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა **ბაბინოვიჩის** სამხრეთით 20 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე, დახმარეს გერმანელთა ძლიერი წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს სიღრმით 15 კილომეტრამდე. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ოზერიშე, ვერეტეია, ოსტროვ იური-ევი, შიბანი, სტარინა, ზამოშიე,** და **სტარიე ხოლმი, ზაბეშნიცა.**

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გადალახეს მდინარე **პრონია,** გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა **ჩაუსის** ჩრდილოეთით და წინ წაიწიეს 20 კილომეტრამდე, ამასთან გარღვევა გააფართოეს 50 კილომეტრამდე ფრონტით. ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სტარი პრიზუჩი, ვოლოვიჩი, ზალოზიე, ბუდინო, რადუჩი, გოლუბოე შჩეკოტოვო, სლობოდკა, შესტაკი, ჟაკოვკა, ჩერნევკა, კოროვჩინო, ხონქოვიჩი, პოპოვკა, რაზინკა, ჩერნავი, ბელიკოვიჩი.**

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

23 ივნისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 54 თვითმფრინავი.

* * *

ფინელებმა გაძარცვეს და დაანგრიეს სვირის ჰიდროელექტროსადგური

კარელიის ფრონტის ჯარებმა ფინელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს სვირის ჰიდროსადგური. ფინელმა ჰიტლერელებმა გაძარცვეს და დანგრიეს ეს უდიდესი ენერგეტიკული ნაგებობა. უკანდახევისას ფინელებმა გაიტანეს ელარატური, კაბელები, სპილენძის სალტეები, მოტორები, ლიფტები და სადგურის სხვა მოწყობილობა, აფეთქეს 4 მთავარი და ორი დამხმარე ტურბინი, დაწვეს გენერატორები, დაანგრიეს ტრანსფორმატორები და ააფეთქეს ხიდები. ფინელმა მარბიელებმა სავსებით გადაწვეს სვირის ჰიდროსადგურის მუშათა დაბა.

გერმანელი ფაშისტების დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს ფინეთის მმართველ ხროვას. ფინელი არამზადები, რომლებმაც ფაშისტურ გერმანიის დაუკავშირეს თავიანთი ბედი, ცდილობენ არ ჩამორჩნენ ჰიტლერელ მარბევლებს. წითელი არმიის დარტყმების გამო უკან რომ იხევენ ფინელები „უდაბნოს ზონად“ აქცევენ საბჭოთა ტერიტორიას.

• • •

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ, გაანადგურეს გერმანელთა დიდი შენაერთი. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია 2 ათასზე მეტი ჰიტლერელი და წამოებულია 6 ტანკი, 60 ქვემეხი, ბევრი ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი.

ჩვენი ნაწილების დარტყმების გამო ჰიტლერელები უკან მიეკანებიან, ამასთან თავიანთ გზაზე სტოვებენ საჭურველსა და სამხედრო მასალას. საბჭოთა ჯარები მიადგნენ მდინარე ზაპადნაია დვინას 35 კილომეტრი ფრონტით.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის საარტილერიო პოზიციებს, თავმოყრილ ჯარებსა და კომუნიკაციებს. მოსპობილია 150 ავტომობილი და 180 საზიდარი ქვეითი ჯარიანად და ტვირთიანად, დამსხვრეულია ჯავშანმატარებელი, რამდენიმე საარტილერიო ეშელონი და 5 ცისტერნა საწვავიანად. ჩახშობილია 20 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

• • •

ქალაქ ვიტებსკის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მოწინააღმდეგე საჭიროდ უყრია თავს რეზერვებს და გზადაგზა გამოჰყავს ესინი ბრძოლაში. გერმანელები ამაწყალიან რადაც უნდა დაუჯდეთ შეაჩერონ ჩვენი ჯარების წინსვლა. საბჭოთა ნაწილები შეუპოვრად მიიწევენ წინ, ამასთან ბრძოლა მოსვლისა და თავისი დამარცხებული და დეზორგანიზებული შენაერთების წესრიგში მოყვანის საშუალებას არ აძლევენ მტერს. არასრული ცნობებით, მტერმა ერთი დღის განმავლობაში დაკარგა 3,500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 74 ქვემეხი და 137 ტყვიამფრქვევი.

საბჭოთა ბომბდამშენები და მოიერიშეები განუწყვეტლივ ურტყამენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენმა ავიადანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 15 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს და დაბომბეს მოწინააღმდეგის პოზიციები ჰაერიდან, რის შედეგად შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა სწრაფად გადალახა მდინარე პრონია. მტერმა ამ მდინარის დასავლეთ ნაპირზე თავდაცვითი ზღუდე აავო, რომელიც შესდგება მრავალრიცხოვანი ძელმწერი საცეცხლე წერტილებისაგან და სრული პროფილის სანგრისა და დუმბისაგან. საბჭოთა ჯარებმა მძლავრი დარტყმით გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, წარმატება განავითარეს და წინ წაიწიეს 20 კილომეტრამდე. სანგრებსა და სანგარსასვლელებში მტრის ბევრი ჯგანი დაგროვდა. მარტო ერთ პატარა უბანზე დათვლილია 600 მოკლული ჰიტლერელი.

* * *

საბჭოთა კავშირის გმირის ზასლონოვის სახელობის პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს ვიტებსკის ოლქის ერთ დასახლებულ პუნქტში. გაფთრებულ ხელჩართულ შეტაკებაში პარტიზანებმა გაქელეტეს 40 ჰიტლერელი და ხელი იგდეს დიდი დაკლა. პარტიზანულმა რაზმმა „გროზამ“ ერთი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა სამი სამხედრო ეშელონი. დამსხვრა 3 ორთქლმავალი, 16 ვაგონი და პლატფორმა სამხედრო ტვირთით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული გაფრთხილება ჩაის რაიონებს

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმების შესრულების გადაწყვეტი პერიოდი დადგა. იქ, სადაც ნათლად აქვთ ეს გათვალისწინებული, ჩაის ფოთოლს თავის დროზე და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული დაცვით ჭკრეფენ და კარგ შედეგებს აღწევენ გეგმების შესრულებაში. ჩაის რაიონების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სამეწარმეო-მოქმედო ორგანოების საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ კრეფის ტემპების გაძლიერებასთან ერთად უზრუნველჰყონ პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის მოკრეფა.

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ 20 ივნისის ცნობები მოწმობენ, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მაგალითად, ჩოხატაურის რაიონში 20 ივნისისათვის ბაისსა და ივნისში მოკრეფილი ჩაიდან პირველი ხარისხის ნედლეული შეადგენდა მხოლოდ 19,6 პროცენტს, ცხაკაიას რაიონში — 18,2 პროცენტს, გალის რაიონში — 36,9 პროცენტს, გეგეჭკორის რაიონში — 25,8 პროცენტს. ასევე დაბალი მაჩვენებლები არის ლანჩხუთის, წყალტუბოს, წულუკიძის რაიონებში. პირველი ხარისხის ნედლეული გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით არ არის ჩაბარებული აკრეთვე ქობულეთის, მახარაძის, ჩხოროწყუ და სხვა რაიონებში.

რით აიხსნება სერიოზული ნაკლოვანებანი კრეფაში და განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები ხარისხის დარგში. ეს იმის შედეგია, რომ ზოგან ჩაის პლანტაციებს არადამაკმაყოფილებლად უვლიან, უხეშად არღვევენ ჩაის კრეფის აგროწესებს, თანმიმდევრობით არ ტარდება შემოსული ჩაის ფოთლის კრეფა, მოწესრიგებული არ არის შრომა. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვორონოვილოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი ბრიგადა 9 ივნისს შემოუსვლელ ფოთოლს ჭკრეფდა, მაშინ როდესაც ამავე ბრიგადაში 3 ჰექტარი ჩაი გაუხეშებული იყო, რადგან დროზე არ მოჭკრიფეს. მეოთხე ბრიგადის მეოთხე რგოლში 2 ჰექტარი ჩაი დროზე არ მოჭკრიფეს და ფოთოლი გაუხეშდა. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 3 ივნისს ხუთ ბრიგადას არ უმუშავნია ჩაის კრეფაზე. ჩაის კრეფის ხარისხი დაბალია ბათუმის რაიონის სალობაურის საბჭოთა მეურნეობაში. ცნობები მსგავსი ფაქტების შესახებ მოდის ზოგიერთი სხვა რაიონიდანაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაის ფოთლის ხარისხის გადაჭრით გასაუმჯობესებლად. ჩაის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა განუხრელად უნდა განახორციელონ ეს ღონისძიებანი და უახლოეს ხანში მიაღწიონ ჩაის ფოთლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭრით გაუმჯობესებას.

ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნე მასები და საბჭოთა მეურნეობების მუშები კრეფის გეგმების როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის. დაყოფნება შეუწყნარებელია. უნდა გავუთვალსწორდეთ მოწინავე კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს, რომლებმაც ორგანიზებულად მოაწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. ჩაის რაიონების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა შეფასებული იქნება არა მარტო იმით, თუ რა რაოდენობის მოსავალს მიიღებენ ისინი ჰექტარზე, არამედ იმითაც, თუ როგორი ხარისხისა იქნება ჩაის ნედლეული.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ შევასრულოთ ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმა ხარისხობრივი მაჩვენებლებით?

საჭიროა თავის დროზე ჩაეტაროთ ჩაის პლანტაციების გათოხნა. ჩაის პლანტაციების დროული დამუშავება და მათი დაცვა მავნებლებისაგან შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ მოსავლიანობა.

საჭიროა ჩაის ფოთოლი ეკრიფოთ ორგანიზებულად, მტკიცედ დავიცვათ კრეფის აგროტექნიკური წესები, შემოსული ჩაის ფოთოლი ეკრიფოთ თანმიმდევრობით, ბოლო მოუღოთ იერიშობანას.

შემდეგ, საჭიროა სწორად მოვაწყოთ შრომა ჩაის პლანტაციებში, კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა ბრიგადებსა და რგოლებში და მტკიცედ დავნერგოთ რგოლური მუშაობის სისტემა, რაც ფოთლის ხარისხის გაუმჯობესების მძლავრი პირობაა.

ბოლოს, საჭიროა აღვკვეთოთ გამოდევნება გეგმის რაოდენობრივად შესრულებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარვმართოთ იქითკენ, რომ ჩაის ფოთოლი თავის დროზე და წესიერად იკრიფებოდეს. ჩაის რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები სერიოზული გამოცდის წინაშე იმყოფებიან და მათ ეს გამოცდა ღირსეულად უნდა ჩააბარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი ა. ი. ვიშინსკი

საბჭოთა სახელმწიფო სამამულო ომში*

V.

ახლა უკვე ემვი აღარ რჩება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ და საბჭოთა სახელმწიფომ, რომელიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით—ლენინისა და სტალინის მეთაურობით მძლავრ ძალად ჩამოყალიბდა, უზრუნველჰყვეს საბჭოთა კავშირის წარმატება ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ, რომელმაც ხელყო საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

სსრ კავშირმა, რომელმაც ლენინის ხელმძღვანელობით, ხოლო ლენინის გაოდაცვალების შემდეგ — სტალინის ხელმძღვანელობით თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების გიგანტური გზა განვლო, გადაიტანა მტრის ურდოების მოძალება, არ შემდრკალა, გაუძლო. სსრ კავშირმა რკინის ხელით შეაჩერა მტრის წინსვლა, უკან მიაბრუნა მისი საზარელი სამხედრო მანქანა, რომელსაც დაუსჯელად გადათელილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის კონტინენტალური ქვეყნები, და განდევნა იგი თავისი მიწა-წყლის ფარგლებიდან, ამასთან სდევნის და სპობს საზიზღარ დაპყრობლებს.

ამაში გამომეღაცნდა ჩვენი სამშობლოს, რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა სახელოვანი თავისუფლებისმოყვარე ტრადიციების ძალა და ძლიერება, ძალა და ძლიერება საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემისა, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელმაც დაამტკიცა თავისი მრავალი ღირსება და უპირატესობანი.

„ომის გაკვეთილები მოწმობენ, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი შრომებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა" (სტალინი).

ჩვენ დავინახეთ, თუ რაში მდგომარეობს ეს ღირსება და უპირატესობანი, რომელთა ფესვიც საბჭოთა წყობილების თვით ბუნებაშია. აქ არის ომის ახსნა, თუ ომის დასაწყისის და პირველი პერიოდის უძნელეს პირობებში, როცა მტრის მბარეზე იყო თავდასხმის ტაქტიკისა და მომზადებულობის უპირატესობა, როგორ შესძლო სსრ კავშირმა დაეძლია დროებითი სიძნელეები და უზრუნველეყო თავისი წარმატება სამხედრო მოვლენათა შემდგომს განვითარებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ომის უაღრესად მძიმე დღეებსა და თვეებში — მხედველობაში მაქვს პერიოდი 1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის ნოემბრამდე — საბჭოთა ხალხს არ დაუკარგავს თავისი ძალების ღრმა რწმენის, თავისი საქმის სიმართლის რწმენის, საბჭოთა იარაღის გამარჯვების უარყოფა რწმენის გრძნობა.

ჩვენი ჯარების ივნის-ივლისის უკანდახევის მძიმე დღეებში, 3 ივლისს დილადრიანად გაისმა ხმა ჩვენი დიდი ბელადის სტალინისა, რომელმაც ჩვენს ხალხს მიმართა გამხნევებისა და მოწოდების მღელვარე სიტყვებით.

ჩვენ ყველას გვახსოვს სტალინის ეს მოწოდება, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

„ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო!"—„თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!" ვის არ ახსოვს ეს სიტყვები, რომლებიც გაისმა ნაღარასავით, ვეჩეს ზარის ხმასავით და ჩვენს ხალხს ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

მთელი ჩვენი ქვეყანა, დიდით პატარამდე, სულგანაბული ისმენდა საყვარელი ბელადის სიტყვებს. სტალინი ამბობდა, „რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები". და ყველასთვის ნათელი გახდა, ყველა დამშვიდდა. და ყველამ სთქვა. ასე უნდა იყოს. ასე იქნება.

ამხანაგმა სტალინმა 3 ივლისს სთქვა: „ჩვენი ძალები აუთვალელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში..." და მტერი დარწმუნდა ამაში მოსკოვისათვის ბრძოლის დროს, ბრძოლისა, რომელიც შემობრუნების პუნქტი გახდა 1941-1942 წლების ზამთრის კამპანიაში.

უკვე 1941 წლის 6-7 ნოემბერს ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ჰიტლერული „ელვისებური" ომი ჩაშალა. რომ შევაფასოთ მთელი განსაკუთრებული მნიშვნელობა ამხანაგ სტალინის ამ გენიალური დებულებისა, რომელიც სავსებით დადასტურდა მთელი შემდგომი სამხედრო ამბებით, ამისათვის უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ, როცა ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა ბლიცკრიგის ჰიტლერული გეგმის ჩაფუშვა, გერმანელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ სერიოზული სამხედრო წარმატებანი. ეს ხომ ის დრო იყო, როცა გერმანელების ხელში ჯერ კიდევ იმყოფებოდა უკრაინის უმეტესი ნაწილი, ბელორუსია, მოლდავეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მთელი რიგი სხვა ოლქები. ეს ის დრო იყო, როცა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, მტერი დონბასში შეჭოიჭრა, შავი ღრუბელივით ჩამოაწვა ლენინგრადს, ემუქრებოდა ჩვენს სახელოვან დედა-ქალაქს — მოსკოვს. ეს იყო მძიმე დრო, როცა ჩვენი ბელადი თავის ხალხს მიმართავდა სიმართლის მწარე სიტყვებით, ლაპარაკობდა საშიში საფრთხის, სერიოზული საფრთხის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაემუქრა და რომელიც ომის 4 თვის შედეგად არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა.

ასეთი იყო მაშინ ვითარება. და ამ პირობებში შაგზნელი ამბების ფარდას იქით სტალინური გენია ნათლად ხედავდა გერმანელი ფაშისტი ეფრეიტორისა და მისი ამალის უგუნური ავანტიურის სამარცხვინო კრახის გარდუვალობას, ეფრეიტორისა და მისი ამალისა, რომელიც მოსტყუვდნენ თავიანთი სახედრო გეგმის ყველა პუნქტში. ეს გეგმა ემყარებოდა იმის იმედს, რომ კოალიცია მოეწყობოდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით სსრ კავშირის წინააღმდეგ, და ამ იმედით, როგორც ცნობილია, ჰიტლერმა გაგზავნა ინგლისში ჰესი. მოსტყუვდნენ და ვარაუდი ჩაუშალათ.

ეს გეგმა ემყარებოდა იმის იმედს, რომ საბჭოთა წყობილება და საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა. ჰიტლერელთა ყაჩაღურმა არმიებმა და მათმა შტაბებმა მალე საკუთარ ზურგზე განიცადეს, თუ რა წინააღმდეგობა იყო ასეთ იმედებზე მათი გეგმების აგება. მოსტყუვდნენ და ვარაუდი ჩაეშალათ. ამას უნდა დაემატოს, რომ ომის პირველი თვეების წარუმატებლობამ არა თუ არ შეარყია საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, არამედ, როგორც მაშინ ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა,—„ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადაამტკიცა ერთიან, ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წინელ არმიას, თავის წინელ ფლოტს".

ეს გეგმა ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ წითელი არმია და წითელი ფლოტი სუსტი აღმოჩნდებოდნენ და ისინი, გერმანელთა გეგმის მიხედვით, ომის გერმანული თეორიის მიხედვით პირველი დარტყმისთანავე უნდა დაცემულიყვნენ და გაფანტულიყვნენ. აქაც მოსტყუვდნენ, ვარაუდი ჩაეშალათ. რადგან წითელი არმია და წითელი ფლოტი არა თუ არ გაჭირნენ, თუმცა გებელსი ყოველდღე სპობდა ქაღალდზე საბჭოთა მთელ დივიზიებსა და არმიებს, არამედ განაგრძობდნენ ძალ-ღონის მოკრებას და მაშინაც უფრო ძლიერი იყვნენ, ვიდრე გერმანელებს ეგონათ.

ყოველივე ამან წინასწარ განსაზღვრა ომის შედეგი. და ამხანაგი სტალინი, ერთადგული თავისი გენიალური შორსმჭვრეტელობისა და მეცნიერული წინასწარმეტყველებისა, ამბობდა, რომ გარდუვალია განადგურება გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი არმიებისა, რომელთაც დიდხანს არ შეუძლიათ გაუძლონ დაძაბულობას და რომელთაც მათი დანაშაულის სიმძიმე გასრესს.

ომის ეთელი ამ სამი წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყანა შეურყეველად ხედებოდა ომის საშიშროებასა და სიძნელეებს, დარწმუნებული იყო რა თავის ძალებსა და თავის წარმატებებში.

ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ამ, თავისი სიღრმით განსაკუთრებულ, რწმენას მთელი ამ წლების მანძილზე განუწყვეტლივ გამოსთქვამდა ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი, აღაფრთოვანებდა საბჭოთა მეომრებს და მთელ საბჭოთა ხალხს გმირობის ჩასადენად ომში და დიად შრომაში, წინასწარმეტყველებდა რომ გარდუვალია განადგურება გერმანელი დამპყრობლებისა, რომლებიც 1941 წლის ნოემბერშივე იდგნენ კატასტროფის წინაშე, რაც ეთ ბედისწერის ულმობელი ძალით უსაზღვროდ ეზიდა.

ეი ამხანაგ სტალინის სამი საპირველმაისო ბრძანება.

ბრძანება № 130—1942 წლის 1 მაისი. ეს ის დრო იყო, როცა წითელმა არმიამ გარდატეხას მიაღწია ომის მსვლელობაში და აქტიური თავდაცვიდან მტრის ჯარების წინააღმდეგ წარმატებითს შეტევაზე გადავიდა, როცა სამამულო ომი შევიდა ახალ პერიოდში,—როგორც ამხანაგმა სტალინმა ამ ბრძანებაში სთქვა,—„ჰიტლერული სიბილწისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდში".

როსტოვთან და ქერჩთან, მოსკოვთან და კალინინთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან მამაცმა წითელმა არმიამ დაამარცხა და უკუაქცია ნაქები გერმანელთა ჯარები, რომლებმაც ამასთან გამოაშეღალვნეს კიდევ ერთი თავისი „საბრძოლო" თვისება, რაზედაც ამხანაგი სტალინი ხალხური ანდაზის სიტყვებით ამბობდა: „ცხვრების წინააღმდეგ ყოჩაღია, მაგრამ ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარიაო"...

ბრძანება № 195—1943 წლის 1 მაისი. ეს ის დრო იყო, როცა 1942-1943 წლების ზამთრის კამპანიაში წითელმა არმიამ სერიოზული დამარცხებანი მიაყენა ჰიტლერელთა ჯარებს, გარსშემორტყა და ლიკვიდაცია უყო მტრის ორ არმიას სტალინგრადთან, რომელიც საბჭოთა ხალხის უდიდესი გმირობისა და უძლეველობის უკვდავი სიმბოლო გახდა. ეს ის დრო იყო, როცა 3 თვით ადრე, ვიდრე ფაშისტური „ღერძი" დაანგრიეოდა და ბუსოლინის მთავრობა დაეცემოდა, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ „გერმანია-იტალიის ფაშისტური ბანაკი მძიმე კრიზისს განიცდის და თავისი კატასტროფის წინაშე დგას". რამდენიმე თვეც არ გასულა ამის შემდეგ და კრიზისი ისეთ დამთავრდა, რომ იტალია ომიდან გამოვიდა და „თანამეომარ" ქვეყნად გადაიქცა.

ამხანაგ სტალინის ბრძანება ამბობდა: ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ომი გერმანელების წინააღმდეგ მამდვილად საყოველთაო-სახალხო ომია საბჭოთა კავშირის მოსახლე ყველა ხალხისა; ახლოდგება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს...

ბრძანება № 70—1944 წლის 1 მაისი. — წითელი არმიის განსაკუთრებულ წარმატებათა დღე. მთავარი შედეგი: დაჭრილი მხეცი იძულებულია წახოხდეს თავისი ბუნაგის სიზღვრებისაკენ. დიადი ისტორიული ამოცანა კვალდაკვალ ვდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს და ბოლო მოვუღოთ მას მის საკუთარ ბუნაგში.

დაჭრილი მხეცის სიკოცხლის დღეები დათვლილია. ასეთია ომის მოახლოებული ფინალი. ასეთია ის გზა, რომელიც ამ სამი წლის მანძილზე განვლო, იმ ომმა, რომელიც საბჭოთა ხალხს თავს მოახვია გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა იმპერიალიზმმა და რომელიც ყაჩაღის წინააღმდეგ შეტრიალდა. რა არის ამის მიზეზი? შეუცდომლად შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა—ამის მიზეზია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა კავშირის ხალხთა დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები, მისი ერთიანობა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებანი, სოციალისტური სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული.

ამის მიზეზია თვით წყობილება საბჭოთა ქვეყნისა, სადაც განუყოფლად არის გაბატონებული საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, მთელი საბჭოთა ეკონომიკის, საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი. ამის მიზეზია ხალხთა მეგობრობა, ეუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი. ამის მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკურად ხელმძღვანელი, გადამწყვეტი ორგანო პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას, ბოლშევიკების პარტიას.

სოციალისტური საკუთრება მძლავრი საძირკველია ახალი, სოციალისტური საწარმოო ურთიერთობისა, ახალი კულტურისა, ახალი ყოფაკოვრებისა, აკვანია სოციალისტური წრთობის ახალი ადამიანისა. საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველს ეპყრია სტალინური კონსტიტუცია — გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია.

მხოლოდ სახელმწიფოებრივი მრეწველობის, სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის საფუძველზე შეიძლებოდა უზრუნველგვეყო წითელი არმიისა და ფლოტის მომარაგება საჭურვლით, საომარი მასალით, ახალი ყვილაზე სრულყოფილი საზეადრო ტექნიკით, ნივთიერი და ტექნიკური ჭონებით, სურსათით და მომარაგებისა და აღჭურვილობის ყველა ამ საგნით, რაც ჯარებს ესაჭიროებათ.

ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მრეწველობის ბაზის გადატანა, ახალ წარმოებათა განვითარება და მოწყობა, საწარმოო პროცესთა გარდაქმნა და ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის მომუშავე საწარმოთა ნაყოფიერების გიგანტური ზრდა,—ყოველივე ამის დიდი მოსწრებებით და განსაკუთრებით მოკლე ვადებში განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მრეწველობის ცენტრალიზებული გეგმიანი მართვის პირობებში და მხოლოდ ისეთ დამოკოლებათა უქონლობის დროს, როგორიც არის კერძომესაკუთრული საწარმოები და ინტერესები, რომელნიც გამორიცხავენ სახალხო-სამეურნეო რესურსების ასეთი მობილიზაციის შესაძლებლობას.

ჩვენი მრეწველობის ბაზის გადატანა ისტორიაში უმაგალითო გმირობა იყო. ათასობით საწარმო მანქანებიანად და ადამიანებიანად გადატანილ იქნა ახალ ადგილებში, ისინი მაშინვე ჩადგნენ მწყობრში და უაღრესად მოკლე ვადაში იწყეს პროდუქციის მიცემა ფრონტისათვის, რომელიც არავითარ სიძნელეებს და შეფერხებას არ განიცდიდა მომარაგებაში. მხოლოდ უმაგალითო შემოქმედებითი და პატრიოტული აღფრთოვანებით გამსჭვალულ საბჭოთა ხალხს მუშთა კლასის მეთაურობით შეეძლო უზრუნველეყო მსოფლიოში ასეთი უმაგალითო გადატანის რეალობა!

ომის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა—საავიაციო მრეწველობაში 30 პროცენტით, სატანკოში—38 პროცენტით, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 27 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 46 პროცენტით. მრეწველობას შეემატა მრავალ ათასობითი ახალი ადამიანი, რამაც როდი შეაჩერა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ერთი წლის განმავლობაში (1942-1943) სტახანოველთა რიცხვი გადიდდა 20-50-75 პროცენტით მრეწველობის ცალკეულ დარგებში.

წარმატებით გადიდდა ნათესი ფართობები აღმოსავლეთში. მოსავლის ასაღები ფართობი ჩვენს ქვეყანაში 1942 წელს (შესადარ ტერიტორიაზე) 2 მილიონ ჰექტარზე მეტით გადიდდა. ურალში, ციმბირში, ყაზახეთში და სსრ კავშირის სხვა აღმოსავლეთ რაიონებში გადატანილ იქნა ეთელი რიგი მათთვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორიც არის შაქრის ჭარხალი, კოკ-საგიზი და სხვ. კოლმეურნეობებში გადიდდა საქონლის სულადობა.

ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძალის შინაგან განმტკიცებასთან ერთად სწარმოებდა და კვლავაც სწარმოებს სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის, მისი ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცება სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ლენინსა და სტალინს საბჭოთა სახელმწიფო მიჰყავდათ ძნელი და მიზვეულ-მოზვეული გზით ურთულესი საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში.

ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მან არაერთხელ იხსნა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა იმ საფრთხისაგან, რომელიც მას ელოდა. იგი დაეხმარა ჩვენს ქვეყანას ფეხზე დამდგარიყო და გამოსულიყო საერთაშორისო ურთიერთობის, იმ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის ფართო ასპარეზზე, რომელნიც იძულებული გახდნენ დადგომოდნენ საბჭოთა და დადგომ ბათთან ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ურთიერთგაგებისა და საბჭოთა სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეთოდებმა, საგარეო პოლიტიკამ, რომელიც დაუღალავად იბრძოდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან საქმიანი, სავაჭრო და სამეურნეო კავშირის განვითარებისათვის სხვადასხვა შეთანხმებათა გზით, ძალიან მალე მოგვცა დადებითი შედეგები.

ომიანობის წლებში, როგორც ეს ამხანაგმა ვ. ვ. მოლოტოვმა სთქვა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1944 წლის 1-ლ თებერვალს გაკეთებულ თავის მოხსენებაში, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

„შეიქმნა მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელსაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები,—კოალიცია რომლის სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა მთელ დემოკრატიულ სახელმწიფოთათვის ჭნელია გადაპარებულად შეფასდეს. ევროპის სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის შეგობრული ურთიერთობის თანდათან განტკიცების მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება, რაც ამ ცოტა ხნის წინათ დაიღო. ჩაყრილი აქვს საფუძველები დიდი და პატარა დემოკრატიული ქვეყნების თანამშრომლობას არა მარტო საერთო მტრის წინააღმდეგ ომის დროს, არამედ ომისშემდგომი პეროდისათვისაც ევროპიულ სახელმწიფოთა მხრივ ახალი ხელყოფისაგან მშვიდობიანობის დასაცავად"*).

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპები განსაკუთრებული სიცხადით შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე:

„1. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ინტერესები.

2. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიან, ახლობელ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რომელთაც სსრ კავშირთან საერთო საზღვარი აქვთ, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ინტერესები.

3. ჩვენ იმის პომხრე ვართ, რომ დახმარება გაეწიოს ხალხებს, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

4. ჩვენ არ გვეშინია აგრესორთა მუქარისა და მზადა ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ დარტყმას ომის გაჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა".

ასეთია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრინციპები. თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი ეშყარება თავის მზარდ სამეურნეო და კულტურულ ძლიერებას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, თავის წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს. ბაღალია საბჭოთა სახელმწიფოს აგტორიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში. ღიდად არის დაფასებული საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიებანი ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეჭიკის გაზეთ „ელ პოპულარში" ანდრე სიმონი აღნიშნავს იმ უდიდეს დახმარებას, რაც მოკავშირეებს გაუწია წითელმა არმიამ, რომელიც სამი წლის განმავლობაში გამანადგურებლად ურტყამს ჰიტლერის სამხედრო მანქანას. „დიუნკერკისათვის, — ვკითხულობთ ამ გაზეთში,—მტერს სამაგიერო პირველად მიუზღეს სტალინის ქალაქის კედლებთან, სადაც ინიციატივა მოკავშირეთა ხელში გადავიდა და ომის ახალი ეტაპი დაიწყო. საფრანგეთის სანაპიროზე შეეჯრა მომზადებულ იქნა ვოლგის ნაპირებზე".

ამ ზრდის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია ისეთი ფაქტი, როგორიც არის დიპლომატიური ურთიერთობა, რაც საბჭოთა კავშირს დამყარებული აქვს სხვა ქვეყნებთან. ოქმამდე სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 25 ქვეყანასთან. ახლა—35 ქვეყანასთან. ამ ქვეყნებს შორის არიან სამხრეთ-ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები (მექსიკა, კუბა, კოლუმბია, ურუგვაი, კოსტარიკა), ავსტრალია, კანადა, სამხრეთი აფრიკა.

სსრ კავშირი არის მძლავრი სამთა კოალიციის—ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის წევრი, რომელიც დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებულია 20 წლის მოკავშირეობის ხელშეკრულებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან—1942 წლის 11 ივნისის შეთანხმებით, დაკავშირებულია ირანთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ნორვეგიასთან.

სსრ კავშირი არის მთელი რიგი საერთაშორისო დაწესებულებებისა და კონფერენციების მონაწილე, სსრ კავშირი არის ირის (გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია) წევრი, ევროპის საკონსულტაციო კომისიის წევრი, იტალიის საქმეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი, იტალიასთან დროებითი ზავის სამოკავშირეო საკონტროლო კომისიის წევრი.

სსრ კავშირი არის მონაწილე სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციისა, რომელმაც ოდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს სამი წამყვანი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის (შეერთებული სამეფოს) სპარძოლო თანამშრომლობის განმტკიცებაში.

თეირანში შემდგარმა სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ისტორიულმა კონფერენციამ დაამთავრა პროცესი ამ სახელმწიფოების

*) ვ. მ. მოლოტოვი. თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

*) შემოკლებული სტენოგრამა აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის მოხსენებისა, რომელიც მან წაიკითხა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის საბოლოო სხდომაზე. კონფერენცია მიძღვნილი იყო რუსეთის მეცნიერების როლისადმი მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მოხსენების დასაწყისი იხ. 22 ივნისის „კომუნისტში".

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 23 ივნისი (საკუთარი სპეც. კორ.). ჩვენმა ჯარებმა მძლავრი დარტყმები აგეთეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ბელორუსიის საოლქო ცენტრ —ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. მტერს კარგად ესმის ამ უბნის მნიშვნელობა და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა. ბრძოლების რაიონი მდიდარია ტყეებით, ჭაობებითა და ტბებით. ვიტებსკ-პოლოცკის და ვიტებსკ-ორშის რკინიგზებს შორის აღგილმდებარეობა დასერილია დიდძალი მდინარეებითა და ტბებით, რომლებიც შეადგენენ მდინარე ზაპადნაია დვინას და მისი შენაკადების აუზს.

თავდაცვისათვის ეს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჰიტლერელებმა საინჟინრო ნაგებობათა მძლავრი განშტოებული სისტემით გაამაგრეს. მავთულლობურები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი, ძელმიწური საცეცხლე წერტილები, უამრავი საცეცხლე წერტილები გზას უღობავდნენ ჩვენს ნაწილებს.

საბჭოთა ქვეითი ჯარის შეტევას წინ უძღოდა ძლავრი საარტილერიო მომზადება. ასობით ქვემეხებმა და ნაღმსატყორცნებმა თავიანთი ცეცხლი თავს დაატეხეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინაკიდესა და მის ბაზებს უახლოეს ზურგში. რამდენიმე საათს გრძელდებოდა სარტილერიო კანონადა. ბატარიების ზუსტი ხალვები ანგრევდნენ გერმანელთა სიმაგრეებს. დროგამოშვებით საარტილერიო გრიალი ისეთ ძალას აღწევდა, რომ ირგვლივ ყველაფერი ბაზზარებდა.

ეფარებოდა რა ჩვენი ქვემეხების ცეცხლითს ზვირთს, ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა. საბრძოლო გატაცებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ქვეგანაყოფებმა ჩიახშეს მტრის გადარჩენილი საცეცხლე წერტილები, უკუაგდეს ფაშისტები და გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლავრი ხაზი ქალაქ ვიტებსკის როგორც ჩრდილო-დასავლეთით, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ვიტებსკი—კომუნიკაციების უდიდესი კვანძი —ჰკეტავს გზებს პოლოცკისაკენ, მინსკისა და ორშისაკენ. ეი რატომ იცავს მტერი ასეთი გაფთრებით ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმებით გერმანელები იძულებული არიან უკან დაიხიონ, ამასთან დიდი ზარალი მოსდით.

ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელთა თავდაცვის გამაგრებული ზოლი გარღვეულია ოცდაათი კილომეტრი სიგრძის ფრონტით, ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს მტრის განლაგების სიღრმეში 12-დან 15-მდე კილომეტრით და ამასთან ასზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი შუმილინო.

წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც უტევენ ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა 25 კილომეტრი სიგრძის ფრონტით და გადასჭრეს ვიტებსკ-ორშის რკინიგზა, რითაც წაართვეს მტრის ვიტებსკის დაჯგუფებას სარკინიგზო კომუნიკაცია, რომელიც მას აკავშირებდა ზურგთან. ფრონტის ამ უბანზე საბჭოთა მეომრებმა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან გასწმინდეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

გაჩაღებული ბრძოლების მსვლელობაში გერმანელ ფაშისტთა დივიზიებს უდიდესი ზარალი მოსდით. ჩვენი ჯარები, რომლებმაც ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები, განაგრძობენ შეტევის განვითარებას.

ს. ვიქტოროვი

ძ�mdzi armia (uzrainis 1-li frrontis). ამ ნაცადმა მეომრებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა — 690 ჰიტლერული გაულიტეს ომის განმავლობაში.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა სტეფანე იაკობის-ძე უსტიმენკომ (წინა პლანზე). ქვეგანაყოფმა, რომელსაც იგი მეთაურობს, წარმატებით გადალახა დნესტრი და მაშველი ძალების მოსვლამდე შეინარჩუნა დაკავებული პლაცდარმი. პოლტავის ოლქის ერკლეევოს მტა-ის ყოფილმა კომბაინერმა საბჭოთა კავშირის გმირმა უსტიმენკომ პირადად გაულიტა 200 ჰიტლერელი.

ბევრი სახელოვანი გმირობა ჩაიდინა გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ივანე ხრისანთესძე კალენდიუკმა (მარცხნიდან პირველი). ომამდე იგი კიროვოგრადის ოლქის ბობრინეცის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი იყო, ახლა მის პირად ანგარიშზე 183 გაულეტილი ჰიტლერელია.

დაზვერვის ოსტატად გამოიჩინა თავი ყოფილმა მღვარელმა გვარდიის უფროსმა (ცენტრში). მან მოწინააღმდეგის 157 ჯარისკაცი

ნადავლი საჭურვლის ნიმუშთა გამოფენის მუშაობის ერთი წელი

3.500.000 მნახველი

ერთი წელი სრულდება გერმანელებისათვის წართმეული ნადავლი საჭურვლის ნიმუშთა გამოფენის გახსნის დღიდან. როგორც ცნობილია, გამოფენა პირველმა ინახულა უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა.

ერთი წლის განმავლობაში გამოფენა ინახულა 3.500.000-ზე მეტმა კაცმა—წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებმა და ოფიცრებმა, მოსკოვის საწარმო-დაწესებულებათა მუშებმა და მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა, მოსწავლეებმა, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. გამოფენა ინახულეს ელჩებმა, დიპლომატიური მისიების წევრებმა, სამხედრო ატაშეებმა, მოკავშირე არმიების—დიდი ბრიტან

ფრონტულ ბრიგადებს—ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ფრონტული ბრიგადების მუშაობის შეჯამებამ მისცა საყურადღებო შედეგი მოგვცა. გამოირკვა, რომ მთელმა რიგმა ბრიგადებმა, რომელთაც წინა თვეებში მუშაობის კარგი ჩვენებლები ჰქონდათ, მაისში გააუარესეს მუშაობა. სამგზავრო-სავაგონო საამქროს 5 ფრონტულმა ბრიგადამ მაისის საწარმოო დავალებები შეასრულა მას შემდეგ, რაც მათ დაუმატეს ახალი მუშები. ასე, მაგალითად, დურგალთა ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ქარსელაძე ხელმძღვანელობს, ბრიგადის წევრთა რიცხვი გაადიდა. ამხ. ზადიკაშვილის ბრიგადა, რომელიც წინათ 3 კაცის შემადგენლობით მუშაობდა, ახლა 4 კაცისაგან შესდგება.

საელმავლო საამქროში ამხ. მალაკაძის ფრონტულმა ბრიგადამ 2 ახალი მუშა შეიმატა, ზეინკალთა ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. დიმიტრაშვილი ხელმძღვანელობს, შეიმატა 1 კაცი. ასეთივე სურათია ქარხნის მთელ რიგ სხვა საამქროებშიც.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქარხანაში მომუშავე ყველა ფრონტულმა ბრიგადამ მაისის განმავლობაში სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაათავისუფლა 69 კვალიფიკაციური მუშა. ბრიგადების დიდი უმეტესობა მაისში კარგად მუშაობდა. მათ არა მარტო გაათავისუფლეს თავისი შემადგენლობიდან კვალიფიკაციური მუშები, რომლებიც სხვა სამუშაოზე არიან გამოყენებულნი, არამედ ამასთანავე ორმაგი და ხშირად სამმაგი გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო დავალებები.

ფრონტული ბრიგადების შეჯიბრებაში მაისში პირველი ადგილები მოიპოვეს: ორთქლმავალთა ამწყობ საამქროში ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ხუროშვილი ხელმძღვანელობს, ლოთონის ჩამოშხვლელთა ბრიგადამ ამხ. ივანისელის ხელმძღვანელობით და მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ზ. ზუბიეი ხელმძღვანელობს.

სახარატო საამქროში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მექვაბეთა ბრიგადა (ბრიგადირი ამხ. დალკოვსკი) და ზეინკალთა ბრიგადა (ხელმძღვანელი ამხ. ელისაბედაშვილი).

საქვაბე საამქროში კვლავ გაიმარჯვა 6. გეწაძის მექვაბეთა ბრიგადამ, რომელმაც თვის დავალება 319 პროცენტით შეასრულა. ლითონის სამსხმელო საამქროში გაიმარჯვა ამხ. ბოროზილოს ბრიგადამ, რომელმაც გეგმა 458 პროცენტით შეასრულა.

რით აიხსნება, რომ ამ მოწინავე ფრონტული ბრიგადების გვერდით მომუშავე სხვა ბრიგადებმა მაისში ვერ შესძლეს თავისი სახელწოდების შენარჩუნება, ვერ შეასრულეს ნაკისრი საწარმოო ვალდებულებები და იძულებული გახდნენ შეეპატებინათ ახალი მუშები?

ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ქარხნის ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწესრიგეს მოწინავეთა გამოცდილების სწავლა-ბისათვის გაზიარება, ვერ უხელმძღვანელეს ფრონტულ ბრიგადებს და ყველაზე დაბალი მუშაობის დღეებში ვერ აღმოუჩინეს სათანადო დახმარება. საამქროთა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, სახელდობრ, სალმავლო (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. კუპრაშვილი, პროფორგი ამხ. ვ. ბეჟუაშვილი), სამგზავრო-სავაგონო (პარტბიუროს მდივანი გ. პაპანიაშვილი, პროფორგი ი. ვორგუსტი) და ორთქლმავალთა ამწყობ (პარტბიუროს მდივანი შ. კოშაძე, პროფორგი გ. ოსიპოვი) საამქროებში ცოცხალ, ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და ყოველდღიურ დახმარებას ვერ უწევენ ფრონტულ ბრიგადებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვასწოროთ ეს ნაკლი, დავეხმაროთ ფრონტულ ბრიგადებს, რათა ისინი სისტემატურად აუმჯობესებდნენ თავიანთ მუშაობას, წარმატებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს.

დ. ამირანიძე.

დაპირებანი და ვალდებულებანი უნდა შესრულდეს

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ჭიათურაში იშვიათად როდი ტარდება თათბირები, კრებები, შეკრებები... და ყოველ თათბირსა და კრებაზე მარგანეცის მაღაროთა ხელმძღვანელები დაპირებას იძლევიან: გავადიდებთ მარგანეცის გამოღებას, გეგმას უსათუოდ შევასრულებთო. ერთ ასეთ თათბირზე, რომელიც მაისის შუა რიცხვებში გაიმართა, ყველა მადაროს დირექტორმა, პარტბიუროს მდივანმა და მთავარმა ინჟინერმა პირობა დასდეს: არა მარტო მაისის დავალებას შეასრულებდნენ, არამედ წინა თვეების დანაკლისსაც დაფარავდნენ. ეს დაპირებაც შეუსრულებელი დარჩა.

მარტო მაისში ჭიათურამ ქვეყანას დააკლო ათასობით ტონა სასაქონლო პროდუქცია, ხოლო ხუთ თვეში დანაკლისი ათეულ ათას ტონებს აღწევს. არც შრომის ნაყოფიერების დარგშია სახარბიელო მდგომარეობა. მაღაროებში შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 90,9 პროცენტით, ხოლო გამამდიდრებელ ქარხნებში 85,6 პროცენტით.

ერთადერთი მაღარო, რომელიც გეგმას ასრულებს, არის თრჯონიკიძის სახელობის მაღარო. დანარჩენი მაღაროები ჩამორჩებიან ივნისშიც.

ლენინის, სტალინის და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროების ხელმძღვანელები მუშახელის ნაკლებობაზე სჩივიან. სინამდვილეში კი მათ ვერ უზრუნველჰყვეს მუშახელის შენარჩუნება და აღზრდა. აქ საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან მოვიდნენ მუშები. მაგრამ მათ ვერ შეუქმნეს მუშაობის ნორმალური პირობები. მუშების ნაკლებობაზე ლაპარაკობენ, მაშინ როცა მაღაროში მყოფი მუშები ხშირად სანახევროდაც არ არიან დატვირთულნი. სტახანოველები ამხ. კ. ოყანაძე, ს. ოთინაშვილი, კ. მესხი და სხვ. საათობით ცდებიან სანგრევში სამუშაოს მოუწყობლობით. მათ ან მონგრეული მადანი არ ჰყოფნით, ან რკინიგზა არ არის მიყვანილი სანგრევამდე, ან ვაგონებს ვერ აწვდიან წესიერად.

უდაოა, რომ ჭიათურაში მექანიზმებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ. ლენინის, სტალინის და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში მაქსიმალურად ვერაა გამოყენებული ისეთი ძვირფასი მექანიზმები, როგორიცაა საყელავი მანქანები, მომნგრევი ჩაქუჩები, ელექტრობურღები, სკრეპერები, „ეიმკის“ ტიპის მანქანები. ამასაც აქ კადრების უყოლობით ხსნიან, მაგრამ განა გვაქვს ამის საფუძველი? ჭიათურაში სულ რამდენიმე საყელავი მანქანაა. ნუთუ ასე გაძნელდა რამდენიმე მემანქანის მოპოვება, რომ საყელავი მანქანები ამუშაონ?

ვერც იერიშობანას საკითხს ავუვლით გვერდს, რადგან იგი განსაკუთრებით მავნე და საზიანოა. იგი იწვევს სამთო სამუშაოების ტექნოლოგიური წესების უხეშ დარღვევას, ლავებისა და სანგრევების მოშლას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. იერიშობანის დროს ნაკლებად, ან სრულიად აღარ ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე—ახალი სამთო სამუშაოების მომზადებაზე, რაც ესოდენ მწვავე საკითხად დგას ჭიათურაში. თითქმის ყოველთვის ასე ხდება: თვის პირველ დღეებში და დეკადებში მაღაროები მოშვებულად მუშაობენ, ხოლო თვის ბოლოს ერთბაშად მიაწყდებიან.

კიდევ ერთი საკითხი. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XII პლენუმმა გარკვევით აღნიშნა, თუ როგორ ადიდებს პროდუქციის გამოშვებას და შრომის ნაყოფიერებას სოციალისტური შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით. ეს საქმე ჭიათურაში მხოლოდ ახლა იწყება, იგი პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიანდეს, მაგრამ ჯერ პრაქტიკული შედეგები არა სჩანს. აქ ისიც კი ვერ შესძლეს, რომ ქალაქში მოეწყოთ მარგანეცის მრეწველობის წარჩინებული ადამიანების დაფა, რაზედაც ექვსი-შვიდი თვეა ლაპარაკობენ.

ჰ. ჭიოკაძე

საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები

ხობი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). კოლმეურნეობები წელს იბრძვიან ჰექტარზე საშუალოდ 150 ფუთი და მეტი მარცვლეულის მოსავლისათვის. ეადზე ადრე დამთავრებულია თესვა, ათვისებულია 1,200 ჰექტარი ყამირი. დიდი რაოდენობით გამოყენებულია ნაკელი, ნაკარი და სხვა სასუქები. ნათესებს კარგი პირი უჩანს. გაჩაღებულია მარგვლა. კოლმეურნეები განთიადისთანავე ფუყებენ მუშაობას და დღეში 2-3 ნორმას, ხშირად კი 4-5 ნორმას და მეტსაც ასრულებენ. სტახანოველური შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი ზობის ფ. მახარაძისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ხეთის კოლმეურნეობა „ლენინის გზელმა“, ახალი ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთელმ“, ხამისყურის ბაქრაძის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. სოფელ თორნოსა-დღვაბის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ი. ლატარია, ყანების ნახევარზე მეტი ბალახით არის დაფარული. კოლმეურნეები ხშირად აცდენენ სამუშაოს. მეორე ბრიგადაში, სადაც 35 მუშახელი ითვლება, ერთ დღეს მხოლოდ 9 კოლმეურნე გამოვიდა სამუშაოზე, მაგრამ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არც ბრიგადირი ს. ლატარიას და არც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სათანადო ზომები არ მიუღიათ.

ნათესების დამუშავებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ავრეთვე სოფელ პირველი მაისის ვორონილოვის სახელობის, სოფელ შუაქალაქის მარქსის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე შუახორგის კოლმეურნეობა „ახალ კოლხიდაში“ და სოფელ საგინჯაოს კოლმეურნეობა „სოციალიზმში“.

დადგა სიმინდის მარგვლის გადამწყვეტი დღეები. გადაუდებელი ამოცანაა გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობა გეგმების უახლოეს დღეებში შესრულებისათვის.

ტრ. თოდრაძე

მაგალითის ძალა

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). სიმინდის ნათესებს კარგი პირი უჩანს. გაჩაღებულია სიმინდის ნათესების დამუშავება. სოფელ ზუმის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გრ. ნაკუცენი) მიღწეულია შრომის დისციპლინა. მაგალითად, 6 ივნისს 150 კოლმეურნე ეღებდა მონაწილეობას სიმინდის თოხნაში. მინდრად იყო მოწყობილი საუზე, სადილი, ბრიგადების მიხედვით გამოდიოდა საველე გაზეთი. ამ დღეს თვითეულმა მომუშავემ საშუალოდ გათოხნა 2.000 კვადრატულ მეტრზე მეტი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1.000 კვადრატული მეტრისა.

65 წლის ჩ. ფირცხელავამ ერთ დღეს 4.600 კვადრატული მეტრი გათოხნა, ჰ. ფირცხელავამ—4.100, თ. ლემონჯავამ — 4.000, შ. ლემონჯავამ—4.696 კვადრატული მეტრი. ძალთა სწორი განაწილებით, შრომის სწორი ორგანიზაციითა და ინდივიდუალური სანარდო მუშაობის მტკიცედ დანერგვით კოლმეურნეობამ თოხნა 4 დღეში დაამთავრა, მაშინ როცა წინათ აქ ეს სამუშაო 15 დღეს გრძელდებოდა.

სოფელ მუხურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. პაპასკირი) გააღიდა შრომის ნაყოფიერება. აქ ერთ დღეს 51 ჰექტარი გათოხნეს.



მაგალითი ერმოვნული

ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს

კომკავშირული ცხოვრება

ახალგაზრდობა დიდ ძალას წარმოადგენს სოფლად. არ არის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ისეთი დარგი, სადაც მას მნიშვნელოვანი ადგილი არ ეჭიროს, ახალგაზრდობის როლი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სამამული ომის დღეებში.

ჩვენი რაიონის 30 კოლმეურნეობისა და ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთი სამხეიდრო მოსავლის მიღებისათვის. საგაზაფხულო სამუშაოებში რაიონის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მათ ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება გაეშინდათ 410 ჰექტარი სასიმინდე ფართობი, ფაქტიურად გასწმინდეს 760 ჰექტარი, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 550 ჰექტრისა, სიმინდი დასთესეს 561 ჰექტარზე.

რაიონის ახალგაზრდობამ ჩაის ბლანტაციები მსუბუქად გადაბარა 411 ჰექტარზე, ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება ჩატარებულია 585 ჰექტარზე, სადრენაჟო ქსელის რემონტი—30.000 გრძივ მეტრზე. საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში დახმარება გაწეწია 302 წითელარმიელის ოჯახს.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წილი უდევს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში. ახალგაზრდობის ძალებით მარტო მაისში მოკრეფილია 101.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, აქედან 63.000 კილოგრამი პირველი ხარისხისაა. ამ სამუშაოებში თავი ისახელეს ახალგაზრდულმა რგოლებმა. სოფელ ხაბუმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მეთოთხე ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ქ. შენგელია) მოჰკრიფა 7.642 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.120 კილოგრამისა. კომკავშირელმა თ. შენგელიამ ერთ დღეს 120 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, დღიური დავალება 666 პროცენტით შეასრულა და 10 შრომადღე გამოიმუშავა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის კარგი მაგალითები გვიჩვენეს სოფელ ჭოლის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებმა. ც. ცქვიტაიამ მიმდინარე წელს პირველ ივნისამდე 282 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო ხაბუმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა თ. შენგელიამ—156 შრომადღე. ასეთი ფაქტები მრავალია რაიონში. მნიშვნელოვნად გაეუმჯობესეს მუშაობა სოფელ კირცხის სტალინის, ხაბუმის ბერიას, ზუმის კიროვის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი სათავეში უდგანან ახალგაზრდობის თაუდადებულ შრომას, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებას. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა 980 ახალგაზრდამ 1944 წლის პირველი იანვარიდან პირველ ივნისამდე 67.620 შრომადღე გამოიმუშავა.

ჩვენ პირობას ვიძლევით უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ახალგაზრდობის მონაწილეობა სიმინდის გათოხნაში, ჩაის ფოთლის კრეფაში და მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში. ყოველმხრივ დავეხმარებით ჩვენს გმირ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა სწრაფად განადგურების საქმეში.

ბ. ციცლავა
საქართველოს ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი

შეხვედრები მეცნიერებთან

დასრულდა წლიური შემოწმებითი გამოცდები სკოლებში. ათასობით მოსწავლემ დაამთავრა საშუალო სკოლა. ამჟამად ისინი არჩევანის წინაშე დგანან: სად, რომელ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძონ სწავლა და რა პროფესია აირჩიონ. იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოთ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობას პროფესიების არჩევაში, ეწყობა მათი შეხვედრები სხვადასხვა დარგის მეცნიერების წარმომადგენლებთან, აკადემიკოსებთან, პროფესორებთან, განათლების დარგის მუშაკებთან.

თბილისის ორგონიკიძის რაიონში მოწყობილ შეხვედრაზე მოხსენებით — „საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების პროფილები და მათი როლი სოციალისტურ მშენებლობაში“— გამოვიდა აკადემიკოსი ნ. კეიხოველი.

პროფესორი ა. ხარაძე კურსდამთავრებულს ესაუბრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ.

პროფესორმა ღვალაძემ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) ახალგაზრდებს გააცნო აგრონომიულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ დოცენტმა ხუხუნაიშვილმა კურსდამთავრებულებს მოუთხრო ტექნიკურ მეცნიერებათა როლზე ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში და იმაზე, თუ რა სპეციალობის ახალგაზრდებს ამზადებს ინდუსტრიული ინსტიტუტი.

— თქვენს წინაშე სწავლისა და შრომის უდიდესი შესაძლებლობაა გადაშლილი. შეგიძლიათ, რომელიც გნებავთ პროფესია აირჩიოთ. ჩვენში ყველა პროფესია საპატიოა. ყველა თანაბრად საჭიროა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის. მომავალი ცხოვრების გზა უნდა აირჩიოთ დაფიქრებით, სრული შეგნებით. არჩევისას ანგარიში გაუწიეთ ორ რამეს: სამშობლოს მოთხოვნილებასა და პირად მიდრეკილებას, — ურჩიეს კურსდამთავრებულებს აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ და პროფესორმა გ. თავზიშვილმა.

კურსდამთავრებულებმა ბაირამაშვილმა (ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა) და იარონ ლავსკაიამ (ქალთა მე-8 საშუალო სკოლა) მადლობა გადაუხადეს მეცნიერების წარმომადგენლებს ძვირფასი რჩევისათვის და პირობა დასდეს, რომ დაუოლავად ისწავლიან, ღრმად დაეუფლებიან მეცნიერებას და მთელ ენერგიას და ცოდნას მოახმარენ სამშობლოს კეთილდღეობას, ლენინ-სტალინის დიად საქმეს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი კ. ტყაბლაძე. მან ახალგაზრდებს მიულოცა საშუალო სკოლის კურსის დამთავრება და უსურვა ბეჯითი სწავლა მეცნიერების დასაუფლებლად. ტყაბლაძემ შეკრებილთ მოუთხრო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის თავისი ეპიზოდები.

მოლოტოვის რაიონში მოწყობილ ასეთსავე შეხვედრაზე გამოვიდა აკადემიკოსი კ. კეკელიძე. საქართველოს ხსრ განათლების სახალხო კომისარი პროფესორი ვ. კუპრაძე ესაუბრა ახალგაზრდებს იმაზე, თუ რა დარგის სპეციალისტებს ამზადებენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლები და მოუწოდა მათ შემდგომში ბეჯითი და წარმატებული სწავლისა და ნაყოფიერი მუშაობისაკენ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ. კურსდამთავრებულებს მიესალმა თბილისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. კიზირია.

მოსწავლეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ქალთა 23-ე სკოლის ფრიადოსანმა კურსდამთავრებულმა ჯალაღანიამ. შეხვედრაზე თავიანთი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ა. მაშაშვილმა, გ. კაჭახიძემ, ი. ნონეშვილმა.

ასეთივე შეხვედრები მოეწყო თბილისის სხვა რაიონებშიც.

მ. კალანდაძე

გ. ჯიბლაძე

შალვა დადიანი

(დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

ორი საუკუნის მიჯნაზე გაიშალა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის შალვა დადიანის შემოქმედება. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში იგი დაიწყო და მეოცე საუკუნის დასაწყისში გაგრძელდა. 1896 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე „ჟურჟის“ ბელეტრისტული „წმინდა ცრემლებიდან“ მოკიდებული ეს შემოქმედება გაივლის დიდ მაატერულ გზას. ეს გზა ერთნაირად მიემართება პროზასა და დრამატურგიაში, ხოლო ეს პარალელურად თეატრალურ ხელოვნებაში.

შალვა დადიანის შემოქმედებას თავიდანვე ხალხური ხასიათი ჰქონდა. იგი შორს იდგა „წმინდა ხელოვნების“ აბსტრაქციებისაგან, უარჰყოფდა უსაგნო პოეზიას და ცოვრებისაგან განდგომას. შესაძლოა ახალგაზრდა მწერლის ეს მისწრაფება ყველაზე სრულყოფილად სცენაზე გაჭრამ გამოხატა, როცა ერნესტო როსით გატაცებული 1893 წელს ქუთაისის თეატრს მიაშურებს. მაღალი არისტოკრატიის შთამომავალს ეს უცნაურობად ჩაუთვალეს, როგორც უცნაური ესმინდა მისი სახელოვანი შამის ნიკო დადიანის—ცრმბილი მწერლის, ლინგვისტისა და ფილოსოფოსის საქციელი: მან თავის შვილს მხოლოდ სამი ინბანი შეასწავლა და იმდროინდელ სკოლაში არ შეიყვანა. მაგრამ პირადი ღირსებით შემკული ნიჭიერი ახალგაზრდისათვის მამის მდიდარი ბიბლიოთეკა, ოჯახის ლიტერატურული ატმოსფერო და მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ინტელიგენცია საუკეთესო სკოლა შეიქნა. ქართული კლასიკური, თანადროული და მსოფლიო ლიტერატურის, აგრეთვე მეცნიერებათა დამოუკიდებლად შესწავლამ ჭაბუკს მალე გაუფართოვა გონებრივი ჰორიზონტი. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, მამია გურიელი და მეგელე — იმდროინდელი ინტელიგენციის ბევრი სხვა ჭოწინავე წარმომადგენელი მას გონებრივ საზრდოს აძლევდნენ. შალვა დადიანმა მალე შეითვისა ბელინსკის დებულება. რომ „ხელოვნებას მინც ორმოვეს ფულებას საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახუროს, ის კი არ ამაღლებს, არამედ ამცირებს ხას, ვინაიდან ხელოვნებას არომეს ყველაზე უფრო სასიცოცხლო ძალას, ე. ი. აზრს, და აქცევს რაღაც განცხრომის საგნად“. ამ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის იდეამ შალვა დადიანი ქართულ თეატრში მიიყვანა, სადაც მის ნიჭს მზრუნველად ისეთი დიდი ოსტატი აღმოუნდა, როგორიც ლადო მესხიშვილი იყო.

მაგრამ შალვა დადიანი მარტო აქტიორული შემოქმედებით არ შემოიფარგლა. მართალია, მან 280-ზე მეტი როლი შეასრულა, მათ შორის სუმბათაშვილის სოლეიმან-ხანი და ოთარ-ბეგი, შილერის კარლ მორორი, ხარდეს ფუშე, გორკის მსახიოი, ერისთავის ლეონიძე, ნაკაშიძის სკო, ანდრეევის მორონოვი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ეთარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, შილერის „მარიამ სტიუარტი“, ბაირონის „მანფრედი“ და „სარდანაპალი“, ანდრეევის „პუდელამუს“, ბეერნსტერნე ბეერნსონის „გაკოტრება“ და ჰოფმანსტალის „ელექტრა“, გადაეკეთებინა ქიაჯელის „ტარიელ გოლუა“, ერისთავის „ბედის ტრიალი“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და მრავალი სხვა ნაწარმოები. როგორც რეჟისორს დაედგა ასზე მეტი პიესა და ქართული თეატრი დიმენტიდრებინა ამ რეალისტურ გზაზე, რომელსაც საფუძველი კოტე მესხმ, ვასო აბაშიძემ და ლადო მესხიშვილმა ჩაუყარეს.

თვითმპყრობელობის დროს აქტიორისა და რეჟისორის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ხვედრი ძნელი იყო. მთელი რიგი სეზონებისა და „მოგზაური დასის“ ხელმძღვანელი შალვა დადიანი თავისი ბრწყინვალე ნიჭით სწედებოდა მაყურებლის გულს საქართველოს ყველა კუთხეში, იგი შეჯიდრო სულიერ ურთიერთობას ამყარებდა ბაქოსა და ნოვოროსიისკის მუშებთან, იყენებდა თეატრს, როგორც ხალხის მასების გათვითცნობიერების, შეგნების ამაღლებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მახვილ იარაღს. უკიდურესი ნივთიერი ნაკლებობა ვერ ბორკავდა სახალხო შემოქმედს და არ არის პარადოქსი, რომ თეატრისათვის აღებული ვალის დასაფარავად მას დასჭირდა კუბოში ჩაწოლილიყო, ამ სამწუხარო პოზაში გადაეღო სურათი, რათა ეჩვენებინათ ვიღაც ლიპიანი ვაჭრისათვის, რომ უკანასკნელს ხელი ჩაეწნა უიმედო დებიტორის შესაჩვენებლად და თამასუქი დაეხია. ამ წლებს ეკუთვნის დადიანის ჭრაველი მოთხრობა, თეორი ლეტში და მინიატურა, რომლებშიც მწერალი ალეგორიულად, მაგრამ ადვილმისაწვდომი ფორმებით ფეოდალურ ეპოქის რევოლუციურ მაჯისცემას, მშრომელი ხალხის ბრძოლას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, თანაუგრძნობს ამ მოძრაობას, ხელს უწყობს მას. ეს სოციალური საკითხი ხდება საფუძველი შალვა დადიანის რევოლუციამდელ დრამატურგიულ შემოქმედებაშიც.

შალვა დადიანის დრამები, რომლებიც დაწერილია 1905 წლიდან 1917 წლამდე, ფართო სოციალური ტილოებია. ავტორი თანადროულ თუ ისტორიულ თემატიკაში ორგანულად აქსოვს ეპოქის აქტუალურ საკითხებს და როგორც სიუჟეტის განვითარება, ისე კვანძების გახსნა და მოქმედ პირთა პერიპეტიული დამოკიდებულება შეპირობებულია დროის ასპექტით. ფანტასტიური სანახაობა „მოვიმეში“ დაწერილია 1905 წელს, პირველი რევოლუციის ქარიშხალში, და მისი ძირითადი იდეაა ექსპლოატაციის, ჩაგვრის, მონობის ბორკილების დამსხვრევა. ეს პიესა თითქოს 1905 წლის რევოლუციის მხატვრულ პანორამას წარმოადგენს. ორ წლის შემდეგ დაიწერა „როს ნადიმობდნენ“, რომელშიც ავტორმა დაგვიხატა ფეოდალური ურთიერთობის რღვევა და ახალი საზოგადოებრივი კლასის — მუშათა კლასის ბრძოლა თავისუფლებისათვის. პიესა ყურადღებას იქცევს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩვენებით, და შეიძლება ითქვას, ეს პირველი დრამატიული ნაწარმოებია, რომელიც ამ თემას გვიხატავს. თავადაზნაურობის ისტორიული გადაგვარების, მისი შინაგანი ძალების დაცლისა და გამოფიტვის აპოთეოზად გვევლინება „შენი პირიმე“. აქ საღებავები ბუნებრივი და გადაუჭარბებელია. მასალა მწერლისათვის ისე ნაცნობია, რომ გგონიათ, ავტორს არაფერი გამოუგონებია დრამატიული ფაბულისათვის.

მაგრამ ამ პერიოდის თხზულებათა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კლასიკური კომედია „გუშინდელნი“. ეს პიესა მთელი ქართული დრამატურგიის პიდწეკად არის აღიარებული და თამამად შეიძლება ითქვას, მისი სახით ჩვენს ლიტერატურას მოეკლინა თემატიკისა და მხატვრული ძალის მხრივ ყველა ის ნაუკეთესო, რაც ამ პერიოდის პროზამ შეჰქმნა. სიტყვიერი მასალის სიუხვე, ტიპების დიალაზონი, კოლორიტის სიძლიერე, ეპოქის ნაირსახეობა და ამბების განსაცვიფრებელი გადმოცემა ამ კომედიას აძლევენ უფლებას იწოდებოდეს კლასიკურად.

ისტორიული ჟანრის ორი პიესა — „ვარამი“ (1916 წელი) და „გეგეჭკორი“ (1915 წელი) ავტორმა მიიჩნია, როგორც „ოკრეზა“—„ლეგენდა“. პირველი თამარ მეფის ეპოქის მხატვრული ასახვაა, ხოლო მეორე სამეგრელოში ბატონყმობის ეპოქას გვიხატავს. „ვარამი“ მძაფრ სოციალურ დრამას წარმოადგენს. ხალხის გულისთქმას ავტორი სწვდება, მეფესაც მიახვედრებს, თუმცა გზის ჩვენება არც ერთს არ შეუძლია. ეს პიესა არ არის თავარის ისტორიული ხოტბა. ეს მეთორმეტე საუკუნის შინაგანი დრტვინვის გამოხატვა და იმდროინდელი სოციალური ძალების ჭიდილის უკუფენა. „გეგეჭკორში“ ავტორმა გვიჩვენა დემოკრატიული იდეებით შთაგონებული, განსწავლული ახალგაზრდა, რომელიც აშკარა ბრძოლას უცხადებს უსამართლობას. ავტორი კეთილშობილი, მიმზიდველი ფერებით, ორგანული მთლიანობით გვიხატავს მას და მკითხველს თუ ჰაყურებელს ოდნავი ეჭვიც არ ეპარებათ, რომ გეგეჭკორი და სიდუ თავიანთი იდეებით სულ სხვა ეპოქას ეკუთვნოდნენ. ეს პიესები ხალხში ნერგავდნენ სიყვარულს ჭეშმარიტებისადმი, სიძულვილს ჩაგვრელებისადმი, აღაგზნებდნენ სამართლიანი საქმის დასაცავად, პირდაპირ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ და ამაშია ამათი იდეურ-მხატვრული ღირებულება.

შალვა დადიანის ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობანი მთელი ძალით გაიფურჩქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. „დრამატიული საზოგადოების“, „მსახიობთა კავშირის“, „სახელოვნო სექციის“ დამაარსებელი და ბევრი სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი შალვა დადიანი ძველი თაობიდან ერთ-ერთი პირველი აქტიურად ჩაება საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში. იგი დაუღალავად მუშაობდა, როგორც „სახელოვნო კომიტეტის“ წევრი, „სათეატრო სექციისა“ და „სარეპერტუარო კომისიის“ თავმჯდომარე და თავმჯდომარის ამხანაგი. მას შესაძლებლობა მიეცა მთელი თავისი მხატვრული ნიჭი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. საბჭოთა ხელისუფლებამ, მადლიერმა ხალხმა 1923 წელს შალვა დადიანს დიდი ზეიმით გადაუხადეს სამწერლო, სასცენო და საზოგადო მოღვაწეობის ოცდაათი წლის იუბილე.

თავისი დიდი მხატვრული ტილოები შალვა დადიანმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეჰქმნა. „ნაპერწკლიდან“, „გიორგი რუსი“, „ჯაკალ გულში“, „ჩატეხილი ხიდი“, „ურდუმი“, „ნინოშვილის გურია“, „თეთრულდი“—ქართველი მკითხველისა და მაყურებლისათვის ფართოდ არის ცნობილი.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში შალვა დადიანმა პირველმა გვიჩვენა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნა, მშრომელი ხალხის დარაზმვა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს არის საუკეთესო, მონუმენტური მხატვრული ნაწერმოები, რომელიც დრამატურგმა შეჰქმნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას ბრწყინვალე ნაშრომის საფუძველზე—„ამიერ-კავკასიის ბოლშევი

ნავიაქარხანა. მედიცინალი პ. ნ. ზუბანოვი თვითონ სტახანოვურად მუშაობს და თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშებს. სურათზე პ. ა. ზუბანოვი (მარცხნივ) და მისი მოწაფე ლევ ხვირნოვსკი, რომელმაც ჩინებულად აითვისა პროფესია და ორასოვანი გახდა. ფოტო ა. ფატეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ფულისა და ნივთების ლაჯარიის დიდი მოგებანი

ჩხარი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). ჩხარის რაიონში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები დიდი მოგება ხვდათ: კოლმეურნე ქალს დ. სოკაევას, ჩხარის საშუალო სკოლის საქმეთა მმართველს მ. ლიბრაძეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამბროსი გიგაშვილს და ამბ. რ. აბულაძეს—თითოს 25.000 მანეთი. ნინო რიჟამაძეს, თინა ჩხეიძეს, გ. ერგეშლიძეს, შ. კუტიეფაძეს ხვდათ 5.000 მანეთი მოგება ფულეულს. ძვირფასი ნივთები მოიგეს ლ. სულამანიძემ, ი. ჩობანიძემ, ნ. ჭუმბურიძემ და კ. რიჟამაძემ—მოოქროული სამაჯე საათები, ოქროს ხაჭაპურიძემ—ტუფლები, ნინო წერეთელმა და თ. ვერულაშვილმა—საკოსტუმე ნაჭრები.

ამბროლაური („კომუნისტის" ხაკ. კორ.). სოფელ ბუწყნეულში კოლმეურნე ა. ჭელიძემ ლატარიის ბილეთით მოიგო ძვირფასი საკოსტუმე ნაჭერი. კოლმეურნეებმა ნინო კიკვაძემ (სოფელ ზნაკვე) და ნინო ბოკორიშვილმა (სოფელ ძირაგეული) მოიგეს ქალის ტუფლები, ამბროლაურელმა კოლმეურნემ ი. ნეფარიძემ მოიგო კრავების ნაჭერი, ვ. დოხნაძემ და თ. წულუკიძემ—თითოს 5.000 მანეთი.

ხაშური. ხაშურის რაიონში უკანასკნელი დღეების მანძილზე მოსახლეობაში დარიგებულმა ფულისა და ნივთების მესამე ლატარიამ 200-ზე მეტი მოგება. პენსიონერმა ს. ლაცაბიძემ მოიგო 5.000 მანეთი, დიასახლისმა მ. კიკნაძემ—ქალის ტუფლი, სავაგონო დეპოს ერთერთმა მუშამ—1.000 მანეთი.

თბილისის მასწავლებელთა თათბირი

24 ივნისს ჩატარდა თბილისის მასწავლებელთა საქალაქო თათბირი. მოხსენებით — 1943/44 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების შესახებ — გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. კიზირია.

— განვლილ სასწავლო წელს, — სთქვა მომხსენებელმა, — პარტიამ და მთავრობამ სახალხო განათლების დარგზე უდიდესი ზრუნველობის ღონისძიებები გაატარეს. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჩვენმა სკოლებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. განსაკუთრებული მუშაობა იქნა ჩატარებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში. გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი, გაიზარდა სკოლების ქსელი. გაუმჯობესდა სწავლება. მოსწავლეთა ცოდნა უფრო ღრმა, საფუძვლიანი და მტკიცე ხასდა. მასწავლებლები დაუღალავად მუშაობენ თავიანთი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

წლიური შემოწმებითი გამოცდების დროს მოსწავლეებმა სერიოზული, საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს, საგნების მასწავლებლები მოსწავლეების ცოდნას ფრთხილად და ობიექტურად აფასებდნენ. 50.799 მოსწავლედან 5.147 მოსწავლემ სასწავლო წელი 5-ზე დაამთავრა, საშემოდგომო გამოცდები მიეცა 8.572 მოსწავლეს, იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 7.981 მოსწავლე.

მიუხედავად მიღწეულებისა, თბილისის სკოლებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი მოეპოვებათ. 1.774 მოზარდი ჩამოცილებულია სკოლას და არ სწავლობს. 7-8 წლის ბევრი ბავშვი დარჩენილია აღრიცხვის გარეშე. ზოგიერთ სკოლაში, ჩამორჩენაა ცალკე დისციპლინების სწავლებაში, პროგრამები არ არის ამოწურული, მოსწავლეთა ნაწილი ვერ ეუფლება საგნს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის უნდა დაირაზმონ სკოლების კოლექტივები.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე.

მოხსენების გარშემო გაართულ კამათში გამოვიდნენ: ქ. ჩიჩუა (ქალთა მე-6 სკოლა), ზუბი (ქალთა 39-ე სკოლა), ფოლბერიძე (ვაჟთა 21-ე სკოლა), სირაკიანი (ქალთა 31-ე სკოლა), ყარტოზია (ვაჟთა მე-12 სკოლა), ბურნუსუზიანი (ვაჟთა 30-ე სკოლა). მათ ილაპარაკეს ეხლოდან ამ მიღწევების შესახებ, რომლებიც მოიპოვეს სკოლებმა სასწავლო წლის განმავლობაში და ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმაზე, თუ რა ნაკლი აქვთ მუშაობაში, არ აღუნიშნავთ, როგორ შეუდგენენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

საინტერესო იყო აკადემიკოს დ. უზნაძის გამოსვლა.

გასული წლის მანძილზე ჩვენი სკოლების მიერ მოპოვებული წარმატებანი გამომჟღავნდა წლიური შემოწმებითი გამოცდების დროს, — განაცხადა მან, — მაგრამ მე პირდა ვილაპარაკო იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შესამჩნევი იყო გამოცდების მიმდინარეობისას და რომლითა გამოსწორებისათვის უნდა ებრძოლონ ჩვენმა სკოლებმა. აქა-იქ ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ საგნის უაზრო დაზეპირებას, ცოდნა ღრმა და საფუძვლიანი არა აქვთ. გარდა ამისა, ზოგიერთ მოსწავლეს არა აქვს შეთვისებული დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა.

თათბირმა სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიიღო ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ვ. კუპრაძემ.

დეპეშები

ჰელისა და სტიმსონის განცხადებანი საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავთან დაკავშირებით

ვაშინგტონი, 22 ივნისი (საკდესი). საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა:

„ჩვენ კვლავ აღვნიშნავთ საბჭოთა კავშირზე ნაცისტების მხეცური თავდასხმის წლისთავს. საბჭოთა არმიის მიერ ამ უკანასკნელი წლის მანძილზე მთელ რიგ ბრწყინვალე შეტევითს ოპერაციებში მიღწეულმა უდიდესმა წარმატებებმა აიძულეს ნაცისტები დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირის მათ მიერ დროებით დაპყრობილი ტერიტორიების უმეტესი რაწილი. არავის არ შეუძლია დაეჭვდეს ამაში, რომ საბჭოთა ჯარები კვლავ გააგრძელებენ თავიანთ ბრწყინვალე შეტევითს ოპერაციებს მომავალ ბრძოლებში ევროპის განაპირა ზონებისათვის".

ვაშინგტონი, 22 ივნისი (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი სტიმსონი, რომელმაც მაღალი შეფასება ჰისცა წითელი არმიის საუკეთო ხელოვნებასა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა უდიდესი განძი შეიტანა მოკავშირეთა მოახლოებული გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში. კორესპონდენტებმა სთხოვეს მას გაეკეთებინა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმის წლისთავის კომენტარი, რაზეც სტიმსონმა განაცხადა, რომ ჰიტლერის გადაწყვეტილება თავს დასხმოდა რუსეთს, უეჭველია, ომის ერთ-ერთი ძირითადი შემობრუნების პუნქტი იყო და რომ „რუსების პასუხი ამ თავდასხმაზე და საუკეთო ხელოვნება, რაც მათ ჯარების ხელმძღვანელობაში გამოიჩინეს, მთელი ომის ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა. ეს ფაქტორები უაღრესად უწყობენ ხელს მოკავშირეთა გამარჯვებას, რომელიც ამჟამად ახლოვდება".

დევისის გამოსვლა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავის გამო

ნიუ-იორკი, 23 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში დევისი 21 ივნისს გამოვიდა რადიო-გადაცემაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საუბრო ინფორმაციის ბიუროს მოაწყო ევროპისათვის საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავის გამო. დევისმა განაცხადა:

„სამი ხანგრძლივი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა და ჭისმა ხელმძღვანელებმა მტკიცედ, უდიდესი მოთმინებითა და გამძლეობით შეინარჩუნეს პოზიციები. მათ მთელი მსოფლიოს გაერთიანებულ ერებს შესაძლებლობა მისცეს დაეგროვებინათ თავიანთი რესურსები და შეემუშავებინათ გეგმები, რომლებსაც ლეგეს ოცვალანი ნაყოფი მოიტანეთ და უზრუნველყოფენ იმ ფაშისტური აგრესიის მოსპობას, რომელიც ემუქრებოდა ყოველი ჩვენგანის თავისუფლებას".

ამ დღიდან, რომელსაც ჩვენ ამჟამად აღვნიშნავთ, განაგრძობს დევისი, საბოლოო გადაწყვეტილება ფაშისტი ბანდიტებისა, რომელნიც მსოფლიოს ძარცვავენ, „მხოლოდ დროის საკითხი გახდა. აბ. შეერთებულ შტატებში, ჩვენ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანთან ერთად სრულიადაც ეეველაზეშენი ჩვენი საბჭოთა მოკავშირის უდიდეს გმირულ განძს, რაც მან შეიტანა და ახლაც შეაქვს მსოფლიოში წესიერების დაცვის, გამარჯვების უზრუნველყოფის, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, ეთელ მსოფლიოში უფრო კეთილშობილური მშვიდობიანობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში. არც ერთ ხალხს არ შეეძლო უფრო დიდი და უფრო ეშვნეიერი განძი შეეტანა კაცობრიობის პროგრესის საქმეში. ამიტომ დღეს ჩვენ მივესალმებით დიდ საბჭოთა კავშირს, მის არმიას, ფლოტს, მის ხალხს, მთავრობას და დიდ ბელადს მარშალ სტალინს".

მიზინგეები ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავის გამო

ნიუ-იორკი, 24 ივნისი (საკდესი). 22 ივნისს ნიუ-იორკში მედისონ-სკვერ გარდენში შესდგა მასობრივი მიტინგი, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავთან დაკავშირებით. მიტინგს დაესწრო 18 ათასი კაცი. მიტინგის მონაწილენი ბრუნავლად მიესალმნენ ინრრას გენერალურ დირექტორ ლიმენის, საბჭოთა საქმეთა რწმუნებულ კაპუსტინის, გენერალ ვეკონის, სენატორ პეპერის, საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარის ტომასის, მექანიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილის ნიუმენის, ნიუ-იორკის მერ ლა-გარდიას და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა გამოსვლებს, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლას და მოიწოდებდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისაკენ.

ლიმენისა და პეპერის სიტყვები გადაცემულ იქნა რადიოთი.

საბჭოთა კავშირის დახმარების კომიტეტი იუწყება, რომ მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო სულ ცოტა 30 მასობრივი მიტინგი საბჭოთა კავშირის სამამულო ომის წლისთავის აღსანიშნავად.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შგაების ღონის ცნობა

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

ზედ შერბურის წინ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს, და მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენი ჯარები, თანდათან მიიწევენ წინ და ამჟამად სანაპიროზე ახლო მანძილზე იმყოფებიან ციხე-სიმაგრესთან ორი მხრიდან.

კარანტანის დასავლეთით მტრის წინააღმდეგობა გაძლიერდა. კინის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ რიგდენადმე წაიწიეს წინ.

მდინარე ორნის აღმოსავლეთით ჩვენი სამხედრო ხომალდები უშველნენ მოწინააღმდეგის ჯარებსა და ტანკებს.

23 ივნისს მოკავშირეთა ავიაცია უმთავრესად მოქმედებდა მტრის ბაშველი ძალების წინააღმდეგ, რომელთა გადაყვანასაც იგი ცდილობდა პარიზიდან, დასავლეთში და სამხრეთ სიფრანგეთიდან ჩრდილოეთში. დაბომბებეთ და ტაციამფრქვევი დავუშინეთ რკინიგზისა და გზატკეცილის ძირითად მაგისტრალებს და ეროდროზებს მდინარე ლუარ-ს შესართავიდან მდინარე უაზამდე მდებარე უბანზე. 23 ივნისს დღისით და საღამოს მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის სხვადასხვა ობიექტებს საფრანგეთში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მდგომარეობა იტალიის ფრონტზე ცოტათი შეიცვალა. მტერი შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობს და დაიკავა წინასწარ მომზადებული პოზიციები ტრაზიმენის ტბის აღმოსავლეთითა და დასავლეთით. იტალიის დასავლეთ სანაპიროზე მე-5 არმიის ნაწილები წინსვლას განაგრძობდნენ და ამჟამად იმყოფებიან სანაპირო ქალაქ ფოლონიის ახლოს. ავიაგამანადგურებლები, ბომბდამშენები და მსუბუქი ბომბდამშენები თავს დაესხნენ გზებს, რკინიგზის ლინდაგებსა და ხიდებს იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ადრიატიკის სანაპიროს გასწვრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურაბან-ათა ნურმატოვი კოლმეურნეობა „ზარბდარში" ხელმძღვანელობს სტახანოვურ რგოლს, რომელმაც ვალდებულება აიღო წელს ჰექტარზე აიღოს 100 ცენტნერი ბამბა. სურათზე: ყურაბან-ათა ნურმატოვი და მისი ქალიშვილი ოგულბანი.

ფოტო მ. ცენსონისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

კინო

„დავით ბეკი"

XVIII საუკუნის დასაწყისში სომეხი ხალხი მწარედ ვმონავდა სპარსელ დამპყრობთა უღელვეშ. საუკუნეთა მანძილზე სომეხი ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი სპარსელ დამპყრობთა გაქონდათ, სომეხ ხელმძღვანელ პირებს—მელიქებს მუდმივი უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთში, რითაც სარგებლობდნენ სპარსელი დამპყრობნი. სომეხი ხალხის დასამორჩილებლად.

სომეხი ხალხისათვის XVIII საუკუნის დასაწყისი ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან ამ დროს მან უკვე გადაწყვიტა გადასწყვეტა დაეკავშირებინა თავისი ბედ-ილბალი დიდ რუს ხალხთან.

კინოფილმი „დავით ბეკი" (ერევნის კინოსტუდიის გამოშვება) გადმოგვცემს სომეხი ხალხის გმირულ წარსულს, მის ბრძოლას სპარსელთა ურდოების წინააღმდეგ.

სპარსელ დამპყრობს ასლამაზ გიული ხანს არტახებში მოემწყვდია სომხეთი და უმოწყალოდ სტანჯავდა. სპარსეთის მონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი სომეხი ხალხი XVIII საუკუნის დასაწყისში დელეგაციას გზავნის რუსეთში პეტრე დიდთან და სთხოვს მას დახმარებას. ფილმი ნათლად გვიჩვენებს იმ დროის პოლიტიკურ სიტუაციას და მაყურებელს აცნობს სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობას XVIII საუკუნის დასაწყისში. პეტრე დიდი აღფთქვამს დახმარებას და თანაც დასძენს და ურჩევს, რომ სომეხი ხალხის განმთავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა მიენდოთ გამოცდილი სარდლის დავით ბეკისათვის.

დავით ბეკი სომხეთში მიდის საქართველოდან იმ დროს, როდესაც სომხეთი სულს ღაფავდა სპარსელი ხანების სისხლიანი რეჟიმის ქვეშ. ხალხი ელოდა მსხვილ ძალას—ხელმძღვანელ ადამიანს. დავით ბეკიც, ეს ლეგენდარული სარდალი, თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, სათავეში უდგება სახალხო მოძრაობას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აჩაღებს სპარსელთა ურდოებისა და შინაური გამყიდველების წინააღმდეგ. იგი თავის გარშემო იკრებს პატრიოტ ადამიანთა რაზმებს, ფეიზზე აყენებს სომეხ ხალხს და ამზადებს მას სამშობლოს განთავისუფლებისათვის სამრძოლველად. დავით ბეკის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლია სტეფანოს შაუმიანი. მათ გაბედულად მიჰყავთ ხალხი საბრძოლველად.

ფილმი მთავრდება დავით ბეკის პატრიოტული სიტყვებით, რომლებიც მიმართულია მომავალი თაობებისადმი:

—ასე გვიბრძოლნია ჩვენ, თქვენს წინაპრებს, XVIII საუკუნის დასაწყისში. ასე იბრძოლენენ სომხეთის საამაყო შვილები ყველა საუკუნეში!

ფილმი „დავით ბეკი" დასდგა სტალინური პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა ამო ბეკნაზარიანმა.

ფილმის მონაწილე მსახიობთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ბეკის როლის შემსრულებელი სტალინური პრემიის ლაურეატი სომხეთის სახალხო არტისტი რ. ნერსესიანი, რომელიც გვიხატავს მგზნებარე პატრიოტის დაუვიწყარ სახეს.

დავით ბეკის თანამებრძოლის სტეფანოს შაუმიანის როლს კარგად ასრულებს სომხეთის სახალხო არტისტი დ. მალიანი.

დამსახურებული მხატვრის ს. არუტჩიანის მხატვრობა და კომპოზიტორ სათიანის მუსიკა ხელს უწყობს ფილმის წარმატებას.

ფილმი „დავით ბეკი" ერევნის კინოსტუდიის მორიგი გამარჯვებაა.

არტ. დავითიანი

თეატრებში

25 ივნისს: სახელმწიფო ოპერა—დილით „რიგოლეტო", საღამოს—„შოპენიანა", „ესმერალდა" და საბალეტო კონცერტი. **რუსთაველის სახელობის**—დილასა და საღამოს — „უდანაშაულო დამნაშავენი". **მარჯანიშვილის სახელობის**—დილით—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", საღამოს—„ინჟინერი სერგეევი". **გრიბოედოვის სახელობის**—დილასა და საღამოს —„საგანგებო კანონი". **სომხური**—დილასა და საღამოს—„დავით ბეკ". **აბუნდავის სახელობის**—დილით—„ნ-მანეთიანი საკოლე", საღამოს—„1905 წელი". **მუსკომედიის**—დილით—„საქორწინო მოგზაურობა", საღამოს—„აყვავებული ბაღი". **მოზარდი მაყურებლის**—ქართული—დილით „ორჯონიკიძის ხმალი", საღამოს—„ჭირვეული ცოლის მორჯულება".

კინოებში

25 ივნისს: რუსთაველის სახელობის — „ჩრდილოეთის ვარსკვლავი". **ოქტომბერი**—„ჯუნგლი". **დამკვრელი**—**საზამთრო** — „ძველ ჩიკაგოში", **საბაფსტელი**—„ჯუნგლი". **კომკავშირელი**—„უმზითვო პატარძალი". **ხპარტაკი**—„ნასრედინი ბუხარაში". **26 კომინტერნის სახელობის**—„ბრძოლა რუსეთისათვის". **ლუქსემბურგის სახელობის**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** (მუშტაიდი) — „ძველ ჩიკაგოში".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს

რომ ა. წ. 4 ივლისს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 35) № 277 აუდიტორიაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მეცნიერი მუშაკი **გრ. ჯაფარიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „თუთის ახალი სამრეწველო ჯიშები".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი **ვ. გულისაშვილი** და ბიოლოგიურ მეცნ. კანდიდატი დოცენტი **ე. თოფურიძე.**

მსურველნი შეუძლიათ გაეცნონ შრომას ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მიხა ცხაკაია აუწყებს მეგობრებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 22 ივნისს ქ. მოსკოვში გარდაიცვალა მისი მეუღლე და მეგობარი **შ. ა. ცხაკაია.**

ეროვნულ ეფემია, შვილი მაყვალა აუწყებიან პოეტ **ხეზმან ალექსის-ძე ბატკოშვილი-ერთაწმინდელის** გარდაცვალებას.

ცოლი ნინო, შვილები ნიკო, მარიამი, ქეთო, ძმა სამა, და თამარი იუწყებიან ექიმ **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ბურთიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/VI, 7 ს. პრესის, 18 (პროზეტატორა), დაკრძალვა 27/VI, 6 ს.

ალექსა, გიორგი ვაწაძეები, თამარ, მილოსი ჩხეიშვილები შვილებით იუწყებიან დედის **გოგოლი დიმიტრის-ასულ ბერეფეანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26/VI, 8 ს. გამოსვენება 27/VI, 6 ს. გრიბოედოვის, 28.

მე-9 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან თამარ იმერლიშვილის დედის **ეფემია იმერლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI, 5 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 6.

და ვერიჩკა, ძმა ვანო, რძალი ვალია, სიძე სიმონ, დისწულები გრიშა, მარგარიტა, გოგუცა, გუგული იუწყებიან **დომნა დავლეს** გარდაცვალებას.

ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან **მარიამ მაჭავარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI, 3 ს. ქალაქის II საავადმყოფოდან, კამოს, 103.

შვილები **შუშანა** ცაგარელი, ცუცუნა ტორონჯაძე, ლილი ქელიძე ქმარ-შვილით და ბუხუტა იუწყებიან **მინადორა ლეონავა-რუხაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI, 4 ს. ბარნოვის, 70.

შვილები მარო, ვერა, დავით, გიორგი სტურუები, ძმისწულები ნადია და მაჭიმე შენგელიები, ალექსანდრე და კუკეშა სტურუები იუწყებიან **სტეფანე სტურუას** გარდაცვალებას.

ცოლი მერი, შვილი გია, მამა კონსტანტინე, ძმები ლევან, ვალერიან, ზურაბ, რძალი თამარ შვილით იუწყებიან ინჟინერ **დავით ქვარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI, 5½ ს. მ. გორკის შესახვევი, 2.

ლიტერატურის ჩაის ფაბრიკის დირექცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ლადეო გიორგის-ძე გოგუაძის** გარდაცვალებას.

მამა იასონ, ძმა დანიელ ცოლ-შვილით, დები ელიჩკა, ასინეთი, ნინო ქმარ-შვილით იუწყებიან **შალვა ფიფიზაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI 5 ს. ორბელიანის, 20.

დოცენტი ს. ე. კუტაიძე, ექიმი მ. შენგელია, ნ. ქუთათელაძე, ე. თავართქილაძე, ე. არეშიძე იუწყებიან მეგობრის **არეთა მაჭარაძე-ბერიძის** გარდაცვალებას.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტ ექიმ **ელენე სერგოს-ასულ ბაბუნაშვილის** გარდაცვალებას.

საერთაშორისო მიმოხილვა

ომი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ძალთა თანაფარდობა ამჟამად ისეთია, რომ ჰიტლერული გერმანიის დამარცხება გარდუვალია. მან უკვე წაგო ომი და თავისი კატასტროფის წინაშე დგას, კიდევ რამდენიმე მძლავრი დარტყმა მოკავშირე სახელმწიფოების გაერთიანებული ძალების მხრივ, და მტერი განადგურებული იქნება.

ასეთია დასკვნები, რაც გამომდინარეობს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა მიწა-წყალზე გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა ბოროტმოქმედული თავდასხმის სამი წლისთავის დღეს.

უცხოეთის პრესა და რადიო ფართო კომენტარს უკეთებენ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მესამე წლისთავის შედეგებს. „საბჭოთა სახელმწიფო,—სწერს ინგლისური გაზეთი „ინინგ სტანდარტი", — საკმაოდ ძლიერი და მტკიცე აღმოჩნდა იმისათვის, რომ აეტანა უფრო მძიმე უბედურება და უფრო ხანგრძლივი ტანჯვა ყოველივე იმასთან შედარებით, რაც რომელმე სახელმწიფოს გადაუტანია საშინელი კონფლიქტების მთელი ისტორიის მანძილზე".

ლონდონის რადიოკომენტატორი პატრიჯ ლეისი რადიოთი გამოვიდა და განაცხადა: რუსებს რომ ასე მამაცურად არ ებრძოლათ გასული სამი წლის განმავლობაში და ახლაც არ განაგრძობდნენ ბრძოლას, წარმატებითი შეჭრა დასავლეთში განუხორციელებელი იქნებოდა.

ამ სხვადასხვა გამოხმაურებიდანაც სავსებით ცხადია აღიარება საბჭოთა კავშირის უდიდესი როლისა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის მათს ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა ჩაფუშა „ელვისებური ომის" გეგმები და ჩაშალა გერმანიის სარდლობის თავდაცვითი სტრატეგია.

ომით შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ფაშისტურმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო ამ მკაცრ გამოცდას, ხოლო საბჭოთა კავშირი ომის მეოთხე წელში შედის განმტკიცებული, ბრძოლებში გამოწრთობილი, ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით ვოსილი.

ომმა გამოააშკარავა ჰიტლერის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური სტრატეგიის დეფექტიანობა. ჰიტლერული გერმანია იზოლირებულია. ფაშისტური ბლოკი ირღვევა. ხოლო მოკავშირე სახელმწიფოთა ერთიანობა ამჟამად უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების არმიები ყოველი მხრიდან იერიშით აკაფავენ გზას ფაშისტური გერმანიის სასიკეთლოდ მნიშვნელოვანი ცენტრებისაკენ. გერმანელმა დამპყრობლებმა ომი წააგეს და არავითარ „საიდუმლო" იარაღს, როგორიცაა თვითმფრინავ-აუფმბარები, არ შეუძლია შესცვალოს მოვლენათა საერთო მსვლელობა. საქმე დასასრულისაკენ მიდის.

მაგრამ გერმანიის სწორედ გამოუვალი მდგომარეობა აიძულებს გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს სასოწარკვეთილებით გასწიონ წინააღმდეგობა, ახალ-ახალი დანაშაულისაკენ მიერეკება მათ. ამიტომ საჭიროა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა სამომავლოდ გამოიყენონ თავიანთი ძირითადი ძალები. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ძალების მხრივ განსაადგურებელ დარტყმის ვერ გაუძლებს ფაშისტი მხეცი. იგი საბოლოოდ უნდა იქნას განადგურებული. და კიდევაც საბოლოოდ იქნება განადგურებული.

ჩვენი მოკავშირეები წარმატებით მიიწევენ წინ ნორმანდიაში. დასასრულს უახლოვდება შერბურისათვის ბრძოლა. ქალაქი გარშემორტყმულია. ხაფანგში მოხვდა 30-დან 40 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაც ახლა მოელით ან კაპიტულაცია და ტყვეობა, ან დაღუპვა. გერმანელებს უკვე აღარ აქვთ წარმატების იმედი და სანავსადგურო ნაგებობათა დანგრევა დაიწყეს. გენერალ ეიზენჰაუერის მიერ ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგისათვის წარდგენილი ულტიმატუმის ვადა გათავდა. მოკავშირეთა ჯარებმა დაიწყეს სიმაგრის იერიში და მტრის თავდაცვის სიღრმეში შეაღწიეს.

განვითარება შერბურისათვის ბრძოლისა, ისე როგორც ბრძოლისა მთელი კოტანტენის ნახევარკუნძულისათვის, რომელიც მოწყვეტილია ამერიკის ჯარების მიერ, იმას მოწმობს, რომ ჩვენი მოკავშირეები არა მარტო მტკიცედ გამაგრდნენ დაკავებულ პლაცდარმზე, არამედ ინიციატივასაც ანეითარებენ.

გერმანელებს არ შეუძლიათ თავიანთი ჯარების თავისუფლად მანევრირება, რამდენადაც ისინი იძულებული არიან დაქსაქსონ ძალები და შესაძლებლობა არა აქვთ თავი მოუყარონ მათ მძლავრი დარტყმისათვის. ჰიტლერელებმა ამასთან ანგარიში უნდა გაუწიონ ახალ ადგილებში ახალი დესანტების გადასხმის შესაძლებლობას, ვინაიდან არ იციან მოკავშირეთა მთავარი დარტყმის მიმართულება.

ინგლის-ამერიკის ჯარებმა ახლა მკვიდრად შემოიმტკიცეს პლაცდარმი, ეს იმას მოწმობს, რომ შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება იმისათვის, რომ გერმანელებს სულ უფრო ხშირად საჭიროებდეთ ამ ადგილებში ჯარების გადაყვანა. ინგლის-ამერიკის ჯარებმა ახლა მკვიდრად შემოიმტკიცეს პლაცდარმი, ეს იმას.